№ 57
ოთხშაბათი,
4 ნოემბერი
1909 წ.

# მომავალი

№ 57
ოთხშაბათი,
4 ნოემბერი
1909 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი


## „მომავალი“

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

**გაზეთი ღირს:** როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მანეთი. **1 ოქტომბრიდან წლის ბოლომდე** თფილისში 2 მ. 20 კ. თფილისს გარეთ 2 მან. 50 კ. **თვიურათ:** თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კაპ. ცალკე ნომერი—5 კაპ. ადრესის გამოცვლა ღირს 40 კაპ. (შეიძლება მარკებითაც).

გაზეთის გამოწერა შეიძლება **მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.**

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კ.; სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 5 ს—მდე 3 მ. ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე. რედაქცია ხელმოუწერელ წერილებს არ ბეჭდავს. **დაუბეჭდავ მცირე წერილებს არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს.**

**რედაქციის ადრესი:** რუსის ქუჩა, სახლი № 3, ზემო სართულში.

**ფულის გამოსაგზავნი ადრესი:**

Тифлисъ, тип. „Шрома“, Калистрату Конст. Цуладзе.



წარმოდგენა 14. **ქართული თეატრი** აბონიმენტი მესამე.

**ხუთშაბათს, 5 ნოემბერს** 1909 წელს ქართული დრამატ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება: პირველად ამ სეზონში—სცენები იმერეთის ცხოვრებიდან

### სალხინო

4 მოქმ. ივ. ბარველისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ა. კარგარეთელი, მ. მდივანი, მ. ქილარჯიშვილი, ნ. ჯავახიშვილი. ბ-ნნი: ს. სვიმონიძე, ვ. გამყრელიძე, ნ. გვარაძე, ზარდალიშვილი, კ. მესხი, შ. საფაროვი, ვ. ურუშაძე.

ადგილების ფასი: ლოჟები 10 მ. 50 კ-დან 5 მ-დე, პარტერი 2 მ. 50 კ. 60 კ.-დე, გალერეა 40 კ-დან 20 კ-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორეთ საღამოს 8 საათზე.**

მზადდება წარმოსადგენათ: „ლევან ბატონიშვილი“. «გიორგი Ш», «ქოჩრიანი ტოროლა», მორიგი რეჟისორი **კ. მესხი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

თფილისის სახაზინო თეატრი

საოპერო ამხ. ანტ. ეიხენვალდის გამგეობით დღეს ფ. ლეგარის

### მხიარული ქვრივი

მუსიკალური დადგმა ანტ. ეიხენვალდისა. მონაწილეობენ ქ-ნნი: ვიკშემსკაია, ელაგინა, ზასლავსკაია, როსტოვსკაია, ფერრარი; ბორისენკო, ბარსოვი, გუკასოვი, დემიანენკო, ევლახოვი, კუზმინი, ობრუზოვი, პევცოვი, ტირაციანი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.** **ფასები ჩვეულებრივია.**

ხვალ მე-2ერ ჯიოკომო პუჩჩინის M-me ბატტერფლეი. მზადდება «გუგენოტი და დუბროვსკი».

### თფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლი და სამშობიარო განყოფილებით. ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.** შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.

**ბედევანიშვილი მ. ა.** ნერვების და ელ. ორშაბ., ოთხშ. და პარ. $10^1/_2$—11.

**გურკო გ. ა.** შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი ა. ა.** კანისა და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბათობით 9—10 ს.

**მანსვეტაშვილი ვ. მ.** შინაგანი. ორშაბ., ხუთშ. და შაბ. 1—2.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურ. და დედაკ. ყოველ დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის. ორშაბათ. ოთხშ. და პარსკ. 2—$2^1/_2$ ს.

**ფირადოვი რ. ბ.** ქირურგ., ყოველ დღე 11—12 ს.

**პოპოვი ბ. ა.** ყურის, ყელის და ცხვირის, ყოველ დღე, გარდა პარ. 2—$2^1/_2$ ს.

**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოველ დღე 9—11.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურგ. ყოველ დღე 9—11 ს.

**თიკანაძე ი. ე.** ლედაკაც. საბებიო. ყოველ დღე 1—2 ს.

(წლ.)

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და შელავათიანი საფასურით.

### ვოგზლის კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვოგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695).

**ექ. ს. ვაშაყმაძე** კბილის ავათმყ. ყოველ დღე 9—10 ს.

**ექ. ი. გომართელი** ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ ავათმყ.

**ექ. ა. ნ. დიასამიძე:** ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი:** ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ

**ექ. ბ. ა. პოპოვი:** ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

**ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი:** სამშაბათს ხუთშაბ. და შაბათს 2—$2^1/_2$ ს.; თვალის ავათმყოფ.

**ექ. ე. გ. ფედოროვი:** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირ. 11—12 ს. შინაგანი და ბავშვ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

(წლ.)

### ავტომობილები

ვისაც სურს შვეიცარიის საუკეთესო ავტომობილის ფაბრიკებიდან შეიძინოს ავტომობილი, **ლანდო, კარეტა, კალიასკა,** ღია თუ დახურული, ოჯახისთვის თუ საბირჟოთ.

ეტლი 5 ან 12 ადგილიანი და სხვა და სხვა მოგვმართოს შემდეგი ადრესით: „Herrn Bendianidse, Automobilfabrik «AJax» A. G. Hirschengraben, 80 «Zurich».

რადგან ამ ცნობილ ფაბრიკაში ვმუშაობ, შემიძლია მსურველს ფაბრიკის ნაკლებ ფასში ვაყიდვინო.

დამატებითი ცნობები «მომავალის» რედაქციაში. **ბენდიანიძე.**

### ბუღალტერი

**გავათავე** გიმნაზია და საბუღალტერო კურსები, მაქვს 5 წლის საკანტორო პრაქტიკა და ვეძებ შესაფერ სამუშაოს. შემიძლია დამწერ მაშინაზე მუშაობა.

ოსიპოვის ტუპიკი, სახ. № 16, ბინა 1 მე-9 ნაწილში. 0—9

### გამოცდილი მასწავლებელი.

ამზადებს და წვრთნის მოწაფეებს ყველა სასწავლებლებისათვის

იკითხეთ „მომავალის“ რედაქციაში, რუსის ქუჩა 3. (0—9)

**კბილის ექიმი**

### ს, ვაშაყმაძე

დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. ვოგზლის ლეჩებნიცაში 9 საათიდან 11 საათამდის.

**კბილის ექიმი**

### ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათმყოფებს დილით 8—9 ს. საღამოთი 3—7 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს).

8 ნოემბრიდან თფილისში გამოვა ახალი ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო რუსული გაზეთი

### „ნაშ კრაი“

**(ჩვენი მხარე)**

გაზეთში მონაწილეობას მიიღებენ როგორც ადგილობრივი ძალები, ისე სატახტო ქალაქების მწერლები და პუბლიცისტები.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 75 კაპ. ერთი წლით—7 მანეთი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: სასახლის ქუჩა, სახლი № 7 (Дворцовая ул. д. № 7).

სტატიები, კორესპონდენციები და განცხადებები მიიღება ამავე ადრესით.

რედაქტორი მიიღებს მოსალაპარაკებლათ ყოველ დღე დილის 12—2 საათამდე.

რედაქტორ-გამომცემელი

**ვლ. ბ. თავართქილაძე.**

Открыта подписка на новую ежедневную Газету на русс. яз.

### „НОВАЯ РѢЧЬ“

**Отдѣльный № 3 коп.**

За мѣсяцъ подписная плата 50 коп.
ГАЗЕТА ВЫХОДИТЪ съ 5 НОЯБРЯ
Адресъ: Тифлисъ Ред. газ. „Новая Рѣчь“ Дворцовая, домъ груз. дворянства.
Ред. изд. **П. А. Готуа.**

**სამოქალაქო ან სასულიერო** სასწავლებელში კურს-დამთავრებულს, ნიჭიერს და მშრომელ ყმაწვილს **მასწავლებელი**

### სიმონ გრიაზნოვი

პირობით ამზადებს გიმნაზიის მე-6 კლასისათვის ისე, რომ მოწაფე წარსდგეს ეგზამენზე მომავალ მაისში ან აგვისტოში. აგრეთვე ზემლემერის სკოლისათვის. მსურველთ პირობები ეცნობება წერილით. (3—2)

Тифлисъ. Вера, Измайловскій пер. № 6.


## პრესა

როგორც ვიცით, წარსულ სესიებში დუმის უმრავლესობას შეადგენდა ოქტომბრისტები. მათ ყველაზე მეტი ხმა ქონდა და ყველა კითხვებს თავის შეხედულების და სურვილისამებრ სწყვეტდენ. დღეს კი სურათი შეიცვალა. ოქტომბრისტები მარტო თავის ხმებით უმრავლესობას ვეღარ ადგენენ. საჭირო გახდა მოკავშირის მოძებნა. ბლოკის შეკვრა.

ეს ბლოკი შესაძლებელი იყო მარცხნითაც და მარჯვნითაც. ოქტომბრისტებმა უკანასკნელი არჩიეს და ზომიერ მემარჯვენეებს და ნაციონალისტებს შეუერთდენ. ამ გვარათ შედგენილი უმრავლესობით სურთ მათ დუმის ხელმძღვანელობა ისევ შეინარჩუნონ. შეუძლიათ თუ არა ასეთ პირობებში ოქტომბრისტებს შეინახონ თავისი საკუთარი სახე?

სხვა სატახტო გაზეთებთან ერთად ამ კითხვას ეხება „რუს. სლ.“ და ამბობს:

„დუმის უმრავლესობა ერთგვარ შედგენილობას არ წარმოადგენს. ის შესდგება ოქტომბრისტებისაგან და ზომიერ მემარჯვენეთაგან. უკანასკნელნი ნაციონალისტებთან გაერთებით გაძლიერდენ დუმის უმრავლესობის სიმძიმის ცენტრი მარჯვნივ იქნება გადახრილი. ხელმძღვანელობის როლი მათ მიენიჭებათ. თვითონ ა. ი. გუჩკოვმა განაცხადა, რომ «ცენტრი მარჯვნივ მიიწევსო». გრ. ბობრინსკი და ბალაშოვი დუმის ოქტომბრისტებს თავისუფლებას აძლევენ მეორე ხარისხოვან კითხვებში, მაგრამ ისინი არასოდეს არ დათანხმდებიან, რომ გუჩკოვის შტაბმა საკუთარი სახე გამოაჩინოს უმთავრეს საკითხებში. „ოქტომბრისტების ჩვენგან დაშორება წვრილ საკითხებში,—ამბობს ბალაშოვი,—ჩვენ არ გვაშინებს. სულ სხვაა ძირითადი კითხვები. ცენტრის არსებობის აზრი ამ კითხვების შეერთებული ძალებით გადაწყვეტაშია. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამას კიდევაც შევსძლებთ“. ამნაირათ, ოქტომბრისტებმა ხელმძღვანელობის როლი დაკარგეს. ის გადავიდა ბობრინსკის და ბალაშოვის ხელში. ოქტომბრისტების მოსკოვის სიეზდზე ტრაბახი: „ჩვენ დღეიდან პარტიის პოზიციას მტკიცეთ დავიცავთ და არავითარი შეთანხმებისათვის მას არ ვუღალატებთო“, მხოლოდ ცარიელ ტრაბახობათ დარჩა. ისინი დუმის მესამე სესიაშიაც ისე, როგორც წარსულ ორ სესიაში, უფიზიონომიოთ დარჩნენ. ისინი იცავდენ და გაყავდათ მინისტრების კანონ-პროექტები. ამ ნიადაგზე გამარჯვებისათვის ისინი არავითარ კომპრომისებს არ ერიდებოდენ. ასეთი იყო ოქტომბრისტების „სახე“ წინათ, ასეთივე რჩება მომავალშიაც.

გამარჯვება მემარჯვენეებს დარჩათ. საკუთარი სახის შენარჩუნება მათთვის უზრუნველყოფილია. ამას გრძნობს თვით ბალაშოვიც, რომელიც აცხადებს: „ტყუილა იმედი არ იქონიონ ოქტომბრისტებმა, რომ რუსთა ნაციონალურმა ფრაქციამ მათი გულისათვის საკუთარი სახე დათმოს“-ო.

ოქტომბრისტები თავის სიეზდზე გულუბრყვილოებს აჯერებდენ—მარცხნივ გავიწევთო, ხოლო მივიდენ თუ არა დუმაში, ზომიერ მემარჯვენეებს შეუერთდენ და დუმის ხელმძღვანელათაც ისინი გახდენ. ასეთია ოქტომბრისტების „მარცხნით დაწევა!“

## კიდევ ვისი ბრალია?

(დასასრული)

ახლა ვიკითხოთ რათ წაიყარა ალვირი ასე შავრაზმელმა? ამის პასუხს ამოიკითხავთ რომან დმოვსკის წიგნში: „გერმანია, პოლონეთი და რუსეთი“.

აქ დმოვსკი ამბობს სხვათა შორის: ჩვენი უმთავრესი მიზანი იყო ბრძოლა სოციალისტურ მოძრაობის წინააღმდეგ პოლონეთში. ახლა ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ამ მიზანს მივაღწიეთ: ეს მოძრაობა მოვკალითო.

დიახ, ბიუროკრატიასთან ერთად დმოვსკებმა პოლონეთში მოკლეს ფართო დემოკრატიული მოძრაობა. დმოვსკის ღრმა რწმენით ეს იყო უმთავრესი პირობა პოლონეთის ბედნიერების და დღეგრძელობის.

დმოვსკი ახლა ხედავს, რამდენათ გააბედნიერა მან პოლონეთი. ბიუროკრატია ამ გამჭრიახ პატრიოტზე უფრო შორი გამჭვრეტი გამოდგა. როცა დმოვსკი იძახდა: ჰკა სოციალისტებსო, ბიუროკრ. სიამოვნებით ასრულებდა ამას. როცა დმოვსკების მისიასინებით სძლია სოციალისტები, კეხი შეუბრუნეს თვით ბ. ბ. დმოვსკებს!

ამ დღეებში ცხრა დასავლეთ გუბერნიიდან აქ მოიწვიეს პოლონელების წარმომადგენელნი ვითომდა იმისთვის, რომ მათთვის ეკითხათ: როგორი ერობა გსურთო. ნამდვილათ კი ეს დაცინვა გამოვიდა.

დღეს ეს მოწვეულები აცხადებენ: აღარ ძალ-გვიძს მეტი სმენა. სჯობს დავბრმავდეთ, სანამ კიდევ ასეთ რამეს დავინახავდეთ, სჯობს დავყრუვდეთ, სანამ ამას კიდევ გავიგონებდეთ, შორს ჩვენგან ასეთი ერობა. მშვიდობით, ჩვენ აქ გაჩერება აღარ შეგვიძლიაო.

მთავრობის პროექტის თანახმათ ქალაქის თვითმართველობებში მეკრები ნახევარი რუსები უნდა იქნენ!

დღეს „რუსსკოე ზნამია“ სწერს: პოლონეთში საჭიროა ებრაელებს უფლება მიეცეთ ადგილობრივ თვითმართველობაში მონაწილეობისო.

ამას ამბობს „რუსსკოე ზნამია“, რომელიც მზათაა ებრაელი ას-ასჯერ აცვას ჯვარზე. რისთვის: იმისთვის, რომ ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები დღეს უნდა ემსახურონ მხოლოდ ერთ მიზანს: მათი უმთავრესი ფუნქცია უნდა იქნეს: სხვადასხვა ერთა შორის განუწყვეტელი ბრძოლის წარმოება.

და აი, ამ დროს „დროება“ სერიოზულათ გვირჩევს:

დღევანდელ მთავრობას სურს შემოიღოს ერობა და სხვა“.

დიახ, სურს, მაგრამ მართალია ეს?

აი საკითხი, რომელიც მოითხოვს პასუხს უპირველესათ ყოვლისა?

სანამ თქვენ შეუდგებოდეთ იმის განმარტებას, თუ ცენზიანი უნდა იყოს ერობა თუ უცენზო, რა კონსტრუქცია უნდა ქონდეს მას, ან რა კომპეტენცია და სხვადასხვა, წინასწარ ამისა, ვიმეორებთ, თქვენ უნდა განმარტოთ, რათ უნდათ ერობა.

„დროებამ“ უკვე აღნიშნა, რომ ჩვენ ცოტათი ფეხი მიწაზე გვიდგია.

მე მინდა ეს აზრი ასე განვმარტო: უდიდეს უბედურებას ხალხის ცხოვრებაში შეადგენს მისი, ხალხის, პოლიტიკური ცრუ-მორწმუნეობა. პირველი მცნება ასეთი ცრუ-მორწმუნეობის ასე ითქმის: „барин прiѣдетъ, баринъ разсудитъ“. სანამ ხალხი ამ მცნებას აღიარებს, მისი საშველი არ არის. სანამ ხალხს ოდნავათ იმედი აქვს, სანამ მას სწამს, სანამ მას სჯერა, რომ „დღევანდელ მესვეურებს სურს“, მანამდის ეს ხალხი დავრდომილი დამბლა დაცემულია. ხალხის მომავალს მაშინ ეხსნება გზა, როცა ის სრულიად უარს ყოფს ამ მცნებას.

ჩვენი ხალხი საკმაოთ განთავისუფლდა ამ პოლიტიკური ცრუმორწმუნოებისაგან. მან უკუ აგდო მცნება „ბარინის“ შესახებ. და რამდენათაც მე ხელი შევუწყვე ამ საქმეს, იმდენათ მე მართლაც მიწაზე მიდგა ფეხი.

ამ გზას ვადგევ და ამაზევე ვიდგები.

ჩვენში ერობის შემოღება უნდა აგრეთვე დღევანდელ სხვადასხვა წოდებებს და მათ წარმომადგენლებს. რისთვის? აი კითხვა, რომელსაც აგრეთვე უნდა გავსცეთ პასუხი.

ბ. გვაზავას ასეთი ერობა უნდა: მას უნდა ჩვენებურ ერობას დაედოს საფუძვლათ სამი ივნისის კანონი, ესე იგი, მას უნდა, რომ ერობა გახდეს რეაქციის მსწრაფლ-მატარებლათ, რომელზედაც მემანქანეთ ბ. გვაზავა იქნება. მას აწუხებს, რომ რეაქციის საქმე მისთვის სასურველი სისწრაფით ვერ წარმოებს; მას გული უწუხს და სული ულონდება, რომ დღემდის კიდევ ბჟუტავს წარსული მოძრაობის ნაშთები.

რომელიმე გლეხს ერობა უნდა იმისთვის, რომ თავისი დროებითი მებატონე გვერდში ამოიყენოს: გზის კეთებაში, „ჩინოვნიკისათვის“ ცხენების გამოყვანაში, ეტაპისათვის ხარ-ურმის მიწვდენაში, ეკლესიების დარაჯობაში და სხვადასხვა.

ერთი სიტყვით, ერობა თავის-თავათ არა რაა და არავის არ სურს. ხოლო ერობა, როგორც იარაღი ამა თუ იმ ინტერესის მისაღებათ დიდი რამაა და ყველას სურს.

მაშ ჩვენ პასუხი უნდა გავსცეთ საკითხს: ვის რათ უნდა ერობა.

როცა თქვენ მართალ პასუხს გასცემთ ამ საკითხს, მაშინ ცხადი იქნება თქვენთვისაც და სხვისთვისაც, თუ როგორი ერობა უნდა ან ესაჭიროება ჩვენებურ ფართო მასსას.

განა შეგვიძლია ჩვენ ვსთქვათ: აი, ჩვენ მშრომელ ხალხს ასეთი ერობა ესაჭიროება, მაგრამ ვიცი, რომ ასეთ ერობას არ მოგვცემთ, ამიტომაც გთხოვთ ცოტა რამ მაინც გვიბოძოთ?

არ შეგვიძლია, რადგან ამის მთქმელს არც არას მისცემენ დღეს და კისერშიაც კარგა ჩაჰკრავენ, როგორც დმოვსკის და მის ამხანაგებს უქნეს.

„დროება“ გვიპასუხებს: ჩვენ სრულიადაც ცოტას არ მოვითხოვთ, ჩვენ მოვითხოვთ ცენზის ათჯერ შემცირებას და სხვა.

ჩვენ პასუხს არ გავსცემთ „დროებას“, რადგან პატივცემული გაზეთი თითონ დასძენს: დღეს ამის მიღებაც შეუძლებელიაო.

ამრიგათ, ჩვენ გვასწავლიან, რომ შეუძლებელს არ ვებღაუჭებოდეთ, უტოპიის მორევში არ ვყურყუმალობდეთ და ამავე დროს ამის მასწავლებელი თითონვე გვაწვდის ისეთ რჩევას, რომლის განხორციელებაც მას შეუძლებლათ მიაჩნია დღეს.

ძლიერ საეჭვოა, რომ ერობის საკითხში ჩვენ სწორ ტაქტიკას დავადგეთ, თუ „დროების“ რჩევას დავადექით. რასაკვირველია, ამის შემდეგ „დროება“ სავსებით ხელს აიღებს ჩვენზე, მაგრამ რა ვუყოთ: სანამ დმოვსკის პოლიტიკას და ტაქტიკას მესამე დუმაში მეტი ხეირი არ დაეყრება, ჩვენ აქ „დროებას“ ვერ მივყვებით.

**კ. ჩხეიძე.**

პეტერბურგი 26 ოქტ.

## სახელმწიფო დუმა

(სააგენტოს დეპეშებიდან)

**მეთორმეტე სხდომა.**

2 ნოემბერი.

სახელმწიფო დუმის მეთორმეტე სხდომა გაიხსნა 2 ნოემბერს დილის 11 საათსა და 25 წუთზე. თავმჯდომარეობს თავ. ვოლკონსკი. აცხადებენ შემოსულ საქმეებს, მათ შორის დუმის 52 წევრის განცხადებას იუსტიციის და სამხედრო მინისტრების შეკითხვის შესახებ რიგის სატუსაღოში მოდარაჯე სალდათის მიერ ტუსაღ ემმა პოდზინის და ედუარდ პელლის მოკვლის გამო. პრედკალნი მხარს უჭერს შეკითხვის საჩქაროთ განხილვას. ის აღნიშნავს თითქო რიგის სატუსაღოში ყოველდღე ხდებოდეს ასეთი ამბები, თითქოს ტუსაღები შიშის ქვეშ იყვენ. ოქტომბრისტთა სახელით ფონ-ანრეპი აცხადებს, რომ შეკითხვა კომისიას გადაეცესო. შეკითხვა კომისიას გადასცეს. შემდეგ ამისა დუმამ განაგრძო ადგილობრივ სასამართლოების რეფორმების შესახებ კანონ-პროექტის განხილვა. ჩერნოსვიტოვი უარსყოფს ქონებრივ ცენზს, ის მომხრეა მოსამართლეებათ ისეთი პირნიც იქნან არჩეულნი, რომლებიც პასუხის გებაშიაც კი ყოფილან, მხოლოდ, სამარცხვინო დანაშაულობისთვის კი არა. შჩეკოვი მომხრეა კანონ-პროექტი ისევ კომისიას დაუბრუნდეს. ზამისლოვსკი წინადადებას იძლევა შექმნან სავოლოსტო სასამართლო გლეხებისაგან და საშუალო ან უმაღლეს განათლებულ თავმჯდომარისაგან შემდგარი. ანდრონოვი სავოლოსტო სასამართლოს გაუქმების მომხრეა და მხარს უჭერს ადგილობრივ მოსამართლეების დანიშვნას, შუბინსკი თხოულობს კანონ-პროექტი კომისიას დაუბრუნდეს ხელ-ახლა გადასასინჯათ. მაკლაკოვი მომხრეა მიიღონ კანონ-პროექტი, მხოლოდ ზოგიერთი შესწორებებით. მისი აზრით მთელი საკითხის საფუძველია ის, თუ ვინ იქნებიან მოსამართლეები. ის მომხრეა მოსამართლეების დანიშვნის იმ შემთხვევაში, თუ იუსტიციის სამინისტრო დამოუკიდებელი იქნება, დღეს კი ის დამოკიდებულია შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან და ასეთ სამინისტროს არ შეიძლება ვანდოთ მოსამართლეების არჩევა. დასასრულ ორატორი წინააღმდეგია ქონებრივი ცენზის და ერთ ადგილზე ხუთი წლით სავალდებულო ცხოვრებით. დასასრულ ლაპარაკობენ პახალჩიკი, ტანცოვი, დმიტრიუკი და სხვები. დმიტრიუკის სიტყვის დროს დეპუტატები ერთი-მეორეს ელაპარაკებიან. თავმჯდომარე მიმართავს მემარჯვენეებს და ბერეზოვსკი მეორეს და ტიმოშკინს შენიშვნას აძლევს, რომ თუ კიდევ წესიერება დაარღვიეთ, სხვა ზომებს მივმართავო. სხდომა იხურება. შემდეგი სხდომა დანიშნულია 4 ნოემბერს.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 ნოემბერი.

**სპარსეთი.**

**თეირანი.** შაჰის თანდასწრებით გაიხსნა მეჯლისი. სრული წესიერებაა. სეფე სიტყვა წაიკითხა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე სეპეხდარმა. საღამოს ქალაქი გააჩირაღდნეს. ოსმალეთის საელჩოს ბესტში მჯდომმა ყოფილმა სადრაზამმა და ფინანსთა მინისტრმა დასტოვეს საელჩო და ცოტაოდენი შეწირულება შეიტანეს შაჰის ხაზინაში.

**საზღვარ-გარეთ**

**სიდნეი.** მადნების პატრონთა კავშირის და სხვა პროფესიონალურ კავშირების კონფერენციაზე ერთხმათ დაადგინეს ეცადონ მოიწვიონ მადნების პატრონთა და საერთო მუშების კონფერენცია. თუ ეს არ მოხერხდა, პროფესიონალური კავშირები მიმართავენ მთავრობას გადაეცეს სამთო მრეწველობა სახელმწიფოს. ყველა კავშირებმა საჭირო ზომები მიიღეს უკეთუ გაფიცვა მოხდა.

**ვენა.** „კორ. ბიუროს“ დეპეშით ატყობინებენ სალონიკიდან, რომ საბერძნეთის საზღვარზე იგზავნება ქვეითა ჯარის ოთხი ბათალიონი და ოთხი სამთო ბატარეია, რათა ხელი შეუშალონ საზღვარზე ბერძენთა ბრბოს გადმოსვლას.

**ბუენოს-აირეს** გუშინ დილით პოლიციის პრეფექტ ფალკონს კარეტაში ყუმბარა გადაუგდეს. პრეფექტი და მისი მდივანი სასიკვდილოთ დაიჭრენ და ჩქარა გარდაიცვალენ. ბოროტმოქმედმა ახალგაზდა კაცმა თავში რევოლვერი დაიხალა და მძიმეთ დაიჭრა.

**სინგაპური.** ინგლისის გემი „ოდნა“ დაეჯახა გემ „ლაზეინს“ უკანასკნელი ჩაიძრა. „ოდნამ“ გადაარჩინა 61 მგზავრი და სინგაპურში მივიდა. დაიხრჩო 7 მგზავრი, ევროპიელი გემის კაპიტანი, ხუთი აფიცერი და 28 ადგილობრივი მცხოვრები და რამდენიმე მგზავრი.

**ახმადბადი.** ინდოეთის ვიცე-კოროლ მინისტრს თავდასხმის დროს ორი ყუმბარა ესროლეს. პირველი ყუმბარა ხმლით გადააგდო ვიცე-კონსულის სერჟანტმა, ყუმბარა აფიცერს მოხვდა, რომელიც ვიცე-კოროლის მეუღლეს ქოლგით უჩრდილებდა და ძირს გადმოვარდა. ის უვნებლათ გადარჩა. დაჭრილი აღმოჩნდა შემთხვევით გამვლელი.

**რუსეთი**

**პეტერბურგი.** სამოსამართლო პალატაში გაირჩა გაზეთ „სლოვო“-ს ყოფილ რედაქტორ პერცოვის საქმე. მას შვიდი დღით შინაური დაპატიმრება ქონდა გადაწყვეტილი ნოვოროსიის გენერალ-გუბერნატორის ცილისწამებით შეურაცხყოფისათვის. პალატამ დაამტკიცა საოლქო სასამართლოს განაჩენი. დაამტკიცა აგრეთვე სამხედრო ექიმ ვლასევიჩის შესახებ განაჩენი, რომელსაც 2 ნახ. თვით დატუსაღება ქონდა გადაწყვეტილი. სამოსამართლო პალატამ გაამართლა ნაფიცი ვექილი ბოროდინი, რომელსაც ადმირალი კოლოკოლცოვი ცილისწამებაში სდებდა ბრალს.

სამოსამართლო პალატამ განიხილა „ნოვოე ვრემია“-ს თანამშრომელ სტოლიპინის საქმე, რომელსაც ბულაცელის შეურაცხყოფისათვის შვიდი დღით ჰაუპტვახში დაპატიმრება და ასი მანეთი ჯარიმა ქონდა გადაწყვეტილი. პალატამ გაამართლა სტოლიპინი.

**მოსკოვი.** აღმოაჩინეს კონსპირატიული ბინა. დაიჭირეს ოთხი კაცი. იპოვნეს სარევოლიუციო ლიტერატურა და პატრონები.

**ქერჩი.** მატარებლის მოსვლის დროს დაიჭირეს ოთხი კაცი, რომელთაც გენიჩევსკში მეარტელეს 20,000 მანეთი წაართვეს. დაჭერის დროს მძარცველებმა რევოლვერები დაუშინეს გოროდოვოებს. არეულობის დროს სამი გაიქცა და ერთი დაიჭირეს. გაქცეულებს მდევრები გამოუდგენ.

**კოსტრომა** მეორე დღეა საშინელი თოვლი და ქარ-ბუქია.

**ბლაგოვეშჩენსკი.** სამხედრო სასამართლომ ს.-რევოლიუციონერთა სამხედრო ორგანიზაციის საქმის გამო ყველა დამნაშავეები გაამართლა.

**ოსტროგოჟსკი.** ბიჩიუჩინსკის სატუსაღოს აბანოდან დღისით გაიქცა ორი ტუსაღი, რომლითაც კატორღა ქონდათ გადაწყვეტილი ძარცვა-გლეჯისთვის. დაჭერის დროს ერთი მოკლეს.

**ხ ო ლ ე რ ა.**

**ხერსონი.** 17 ოქტომბრიდინ პირველ ნოემბრამდე ალექსანდრიის მაზრაში ხოლერით ავათ გახდა 12, მოკვდა 6.

**პეტერბურგი.** დღე და ღამეში ხოლერით ავათ გახდა 5. ავათ არის 129.

## ახალი ამბები

**ეგ. ნინოშვილის ძეგლის** ასაგებათ „ჯეჯილის“ რედაქციაში დღემდე შესულა სულ 2078 მ. 56 კ.

✦ **ნ. ელიავას** შესახებ გუბერნატორმა ქალაქის თავს აცნობა: მოწყალეო ხელმწიფევ! 26 ოქტომბრის ქალაქის საბჭოს სხდომაზე შესაძლებლათ უცვნიათ ნ. ზ. ელიავას ხმოსნობა წინააღმდეგ იმ კანონისა, რომელზედაც მე თქვენ გითითებდით ამა წლის 15 ოქტომბრის ჩემს წინადადებაში. ამიტომ გაცნობებთ, რომ საბჭოს დადგენილება, როგორც უკანონო, სისრულეში ვერ მოვა და ახლავე შეჩერებულათ ითვლება ჩემ მიერ.

✦ **საერობო თათბირი.** როგორც „ტ. ლ.“-ს დეპეშით ატყობინებენ ქუთაისიდან, 1 ნოემბერს იქ გახსნილა ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა თათბირი კავკასიაში ერობის შემოღების საკითხის განსახილველათ. თათბირს დაუდგენია არ დაისწროს კრებებზე კერძო პირნი და პრესის წარმომადგენლები.

✦ **ქალაქის საბჭო.** ორშაბათს, 2 ნოემბერს მოხდა ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა, რომელსაც 30 მეტი ხმოსანი დაესწრო, სხვათა შორის გაირჩა გამგეობის შემდეგი მოხსენებები: 1) ტუბერკულიოზთან საბრძოლველ საზოგადოებაში ორი წარმომადგენლის არჩევა; 2) ა. პუშკინისა და ა. შიმკევიჩის სახელობის სტიპენდიების განაწილება; 3) ქალაქის მუშის ო. დავიდოვის თხოვნა სამუშაოთ ხელახლათ მისი მიღების შესახებ; 4) მუშის პ. ვართანოვის პენსიის ერთდროულ დახმარებით შეცვლის შესახებ; 5) სამსახურიდან გასვლის გამო ქალაქის გამგეობაში მოსამსახურის მირზაიანცის დახმარების შესახებ; 6) საოსტატო სემინარიისათვის ადგილის არჩევა და 7) სხვადასხვა სასწავლებლებში წარმომადგენლების არჩევა. ტუბერკულიოზთან საბრძოლველ საზოგადოებაში არჩეულ იქნენ 3 წლ. ვადით ისევ ძველი წარმომადგენლები: ხმოსანი დოლუხანოვი და ვაწაძე. შიმკევიჩის სახელობაზე შეგროვილი სასტიპენდიო ფული 1,700 მან., წლიურათ 80 მ. მოგებას იძლევა; საბჭომ დაადგინა: მიეცეს ამ ფულიდან სამხატვრო სასწავლებლის 2 მოსწავლეს სტიპენდია 40 მ. თითოს. პუშკინის სახელობის ფულიდან 5 სტიპენდია დაუნიშნეს. პირველ სავაჟო გიმნაზიას, საქალებო გიმნაზიას და რეალურ სასწავლებელს 100 მან. თითოს. ხოლო ავლაბრის პროგიმნაზიას დანარჩენი 2 სტიპენდია, თითო 50 მან.; მუშა დავიდოვის თხოვნა უყურადღებოთ დატოვეს, ხოლო მუშის ვართანოვის თხოვნა, რომლითაც ის 180 მ. წლიური პენსის მაგივრათ ერთდროულ 300 მან. დახმარებას თხოულობდა, შეწყნარებულ იქმნა. მოსამსახურე მირზაიანცს მიეცა 600 მ. დახმარება. სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განცხადება, რომ ქალაქს საოსტატო სემინარიისათვის, რომელიც გორიდან გადმოაქვთ, ადგილი მოეძებნა, საბჭომ გადაწყვიტა მიუზომოს ნახალოვკაში 5 დეს. მიწა ამ საქმისათვის და გადაეცეს სემინარიის გამგეობაში მანამ, სანამ სემინარია იარსებებს. გუბერნატორის წინადადება, ბაზრის ზედამხედველის ალ. ბილანოვის სამართალში მიცემის შესახებ, საბჭოს მიერ უარყოფილ იქნა.

✦ **ბოგდანოვის „პოლიტიკური ეკონომიის“** ბეჭდვა დამთავრდა. ხელის მომწერთ წიგნი 15 ნოემბრიდან დაურიგდება.

✦ **პოლიციელი ძაღლების გამოწვრთნის შესასწავლათ**, გუბერნატორის განკარგულებით პეტერბურგში გაიგზავნა უბნის ზედამხედველი მარჩენკო. პეტერბურგში მისი გაგზავნის დრო პირველ ნოემბრიდან იწყება.

✦ **სახ. უნ. გამგეობის სხდომა.** 2 ნოემბერს შესდგა შეერთებული კრება სახალხო უნივერსიტეტის გამგეობისა, რომელსაც დაესწრო ახალათ დაარსებული „კრუჟოკის“ წარმომადგენლებიც: ბ. ელიავამ მოახსენა კრებას, რომ წესდება შესაცვლელათ წარედგინოს გუბერნატორს და თუ ვინიცობაა ეს წესდება არ დაამტკიცა გუბერნატორმა, მაშინ ისინი თითონ მოვლენ სახალხო უნივერსიტეტთან და შეეფარებიან მას. ბ. რცხილაძის შეკითხვაზე: რამ გამოიწვია ახალი „კრუჟოკის“ დაარსება და რაში გამოიხატება სახალხო უნივერსიტეტისაგან შევიწროება, ქ დემურიამ სთქვა: იდეა თავისუფალ მოქმედებისა ჩვენ მაშინ დაგვებადა, როცა სახალხო უნივერ. არც კი არსებობდაო. ეს თავისუფლება კი გვინდოდა იმიტომ, რომ ჩვენ, რომლებიც ამდენი ხანია ვმუშავობთ ამ საქმეში, დამოუკიდებელი ვიყოთო. ერთმა სცენის მოყვარემ (ბ. ბაქრაძე) სხვათა შორის ისიც სთქვა, რომ ჩვენ სცენის მოყვარენი სექციიდან განდევნილი ვიყავით, ასე არ უნდა იყოსო, სექციაში ისეთი ხალხი მუშაობდა, რომელთაც არ აინტერესებდა თეატრის საქმე, ჩვენ, როგორც მანქანები დაგვიძახებდენ მოდით, ითამაშეთ და ჩვენც ვთამაშობდითო. ჩვენ ახლო უნდა ვიდგეთ ამ საქმესთანო. ბ. რცხილაძემ გააცნო ბ. ბაქრაძეს, რომ სექციის ინსტრუქციით სცენის მოყვარეებს ნება ეძლევა შეადგინონ სექცია მარტო სცენის მოყვარეთაგან, თუ კი საჭიროება მოითხოვსო. ბ. ჭიჭინაძემ გაარკვია, რომ სექცია უფრო მეტ უფლებას აძლევს სცენის მოყვარეებს, ვინემ ახალი „კრუჟოკი“, რომლის წესდება ამის წინააღმდეგიაო. კამათის შემდეგ, როცა „კრუჟოკის“ წარმომადგენლები წავიდენ, სახ. უნივერსიტეტის გამგეობამ დაადგინა: სექციამ განაგრძოს ისევ მუშაობა, შეავსოს წევრების რიცხვი ნორმამდის, გაგზავნოს თავისი წარმომადგენლები სექციის მომავალ სხდომაზე 5 ნოემბერს და აცნობს სექციას ეს გადაწყვეტილება, რომ სექციამ განაგრძოს მუშაობა, სანამ „კრუჟოკის“ წესდება დამტკიცდებოდეს. ხოლო, როცა დამტკიცდება წესდება, იქონიონ მსჯელობა მასთან დამოკიდებულების შესახებ.

✦ **ციხის ზედამხედველი სამართალში** მისცეს. თფილისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით სამართალში აძლევენ მეტეხის ციხის ზედამხედველს რიმკევიჩს და ციხის მეთვალყურეს ბებაკოვს გამოძიების ქვეშ მყოფ ტუსაღის ი. იანისანის ციხიდან გაქცევის გამო.

✦ **საჩუქარი.** მანთაშევმა 400 მან. საჩუქარი გამოუგზავნა თფილისის 45 პოლიციელს, რომელნიც მისი ცოლის დასაფლავების დღეს წესრიგს იცავდენ.

✦ „მომავლის“ რედაქციამ მიიღო რომ., ზაქ. რომანოვისაგან 40 მ. და 65 კაპ., რომელიც დარჩა წ. კ. გ საზოგადოების სასარგებლოთ გამართულ წარმოდგენიდან 11 ოქტომბერს, ყარსში. ეს ფული უკვე გადავეცით დანიშნულებისამებრ.

---

**შეცდომის გასწორება:** „მომავლის“ № 56, მეგობრის წერილში შეცდომით დაბეჭდილია: ეს სურვილია სცენის მოყვარეების და ზოგი სექციის წევრებისაო. უნდა იყოს: ეს აზრია სცენის მოყვარეების და სექციის წევრების. გამოტოვებულია —რადგანაც ამ აზრის შესაწყნარებელ საბუთს ვერ ვხედავთ გვრჩება მხოლოთ ერთათ-ერთი სურვილი.

## სინდიკატ-ტრესტები რუსეთში და მათ წინააღმდეგ ბრძოლა.

სხვა საჭირ-ბოროტო საკითხებთან ერთად ამ ბოლო დროს რუსეთის საზოგადოების და პრესის ყურადღებას იქცევს სინდიკატების და ტრესტების გაძლიერება და მათ მიერ გამოწვეული ბოროტ-მოქმედებანი. ჯერ კიდევ ყველას თვალწინ უდგას ის აურ-ზაური და მითქმა-მოთქმა პრესაში და პოლიტიკურ წრეებში, რომელიც გამოიწვია მეტალურგიული ტრესტის დაარსების შესახებ ცნობამ მიმდინარე წლის გაზაფხულზე. ინიციატორთა აზრით, ხსენებულ ტრესტში უნდა შესულიყვენ ყველა მეტალურგიული ქარხნები და სამრეწველო დაწესებულებები სამხრეთ რუსეთისა, ე. ი. მას უნდა გაეერთიანებია წარმოება მრეწველობის ამ ფრიად მნიშვნელოვან დარგში. საზოგადოების აღელვება ამ ხმების გავლენით იმ ზომამდე მივიდა, რომ თვით სახელმწიფო დუმის წრეებშიაც კი დაიწყეს ლაპარაკი გაერთიანებული კაპიტალის ალაგმვის შესახებ. რუსეთის პრესაში ამ საკითხზე იმ ხანათ ბევრი ითქვა და დაიწერა. პრესის დიდი უმეტესობა მეტათ მტრულათ და უარყოფით შეხვდა კაპიტალისტების ამ „ახალ“ საქმეს. ბევრი მთავრობისგან ტრესტის აკრძალვას მოითხოვდა. ზოგიერთები ასეთ მკაცრ ზომას ზედმეტათ და უსარგებლოთ სთვლიდენ და საკმარისათ აღიარებდენ მთავრობის მხრივ კანტროლს ასეთ დაწესებულებებზე და რეპრესიულ ზომებს იმ შემთხვევისათვის, თუ რომელიმე მათგანი ბოროტმოქმედებას ჩაიდენდა. კაპიტალისტ-მრეწველების პროფესიონალური პრესა, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი თავგამოდებით იცავდა ტრესტებისა და სინდიკატების საჭიროებას რუსეთის „ეკონომიურ წარმატებისთვის“.

ჟურნალი „Промыш. и Тор“. გრაზმორეული სწერდა: „რუსეთის საზოგადოების და რუსეთის პრესის მხოლოდ სრული ეკონომიური უვიცობით შეიძლება ავხსნათ ის ფაქტი, რომ ხმები სამხრეთ რუსეთის ქარხნების შეერთების შესახებ საბუთს აძლევენ გაზეთებს და ზოგიერთ საზოგადოებრივ წრეებს დაჰკრან ბუკი და ნაღარა მომხმარებლის ჯიბის გაძარცვის შესახებ, რომელიც ვითომ მოხდება ფასების ძლიერ გადიდებით.

მეტალურგიული ტრესტის დაარსება დროებით გადაიდო, მარა ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ საზოგადოება თავისუფალი და უზრუნველყოფილია იმ ბოროტებისაგან, რომელიც თან სდევს სინდიკატებისა და ტრესტების გაძლიერებას. ჯერ ერთი, რომ მეტალურგიული ტრესტი პირველი არ იქნება რუსეთის ცხოვრებაში, და მეორეც, თუ ამ ხანათ არ შესდგა ეს გრანდიოზული ტრესტი—ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ მისი არსებობა ხვალ ფაქტი არ გახდება. ამიტომ ზედმეტი არ იქნება ჩვენი მკითხველისათვის მოკლეთ გამოვარკვიოთ რა მიზეზები იწვევს კაპიტალისტების შეკავშირებას ტრესტებათ და სინდიკატებათ და რა შედეგები მოყვება ამ გაერთიანებას [illegible]

რუსეთის კაპიტალისტური წარმოება უმთავრესათ მსხვილი წარმოებაა. აქ კაპიტალის განვითარების სტადიები ძლიერ მოკლე იყო, ვინემ იმ ქვეყნებში, სადაც პირველათ აღორძინდა კაპიტალისტური წარმოება. რუსეთის კაპიტალი სარგებლობს ყველა იმ ტეხნიკური გაუმჯობესებით და საწარმოვო საშუალებებით, რომლებიც შექმნეს და მოუმზადეს მას ძველმა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა. აქ მას არ სჭირდება ახალი მეთოდის და ახალ საშუალებათა გამონახვა. მას ყველაფერი მზა-მზარეულათ გადმოაქვს კაპიტალისტურ ევროპიდან და ამიტომ რაღა გასაკვირველია, რომ რუსეთის მსხვილი მრეწველობა სარგებლობს ხალხის გასაყვლეფათ თავისი „უფროსი ძმების“ ნაცადი საშუალებებით. ხოლო რუსეთის მრეწველობა რომ უმთავრესათ მსხვილი მრეწველობაა, ამის დასამტკიცებლათ მოვიყვანთ რამდენიმე ცნობას. გერმანიის და ბელგიის ძლიერი კაპიტალისტური განვითარება ფაქტია, მარა თუ შევადარებთ მსხვილ-გიგანტურ წარმოებათა რიცხვს რუსეთში და ხსენებულ სახელმწიფოებში, დავინახავთ, რომ ასეთები პირველში მეტია, ვინემ ორ უკანასკნელში. მაგალითად, გერმანიაში დიდ სამრეწველო დაწესებულებათა რიცხვი, რომელშიაც 1000 მეტი მუშაა, უდრიდა 296. რუსეთში კი—302. მუშათა საერთო რიცხვი გერმანიის ამ დაწესებულებაში შეადგენდა 562,5 ათასს, რუსეთისაში კი—710 ათასს. პირველში თვითეულ დაწესებულებაში მოდიოდა 1900-მდე მუშა ხელი, მეორეში კი 2318-მდე. ბელგიაში 1896 წლის აღწერით ითვლებოდა 184 დაწესებულება, რომელშიაც 500-ზე მეტი მუშა იყო, საერთოთ კი, ყველა მუშათა რიცხვი მათში უდრიდა 160 ათასს. რუსეთში ასეთი დაწესებულება 1902 წელს 676 ითვლებოდა, რომელშიაც 803,3 ათასი მუშა იყო *) აქ მოყვანილი ციფრები, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ რუსეთში კაპიტალიზმი უფრო განვითარებულია, ვინემ გერმანიაში და ბელგიაში. ამ მხრივ რუსეთის შედარება ამ სახელმწიფოებთან შეუძლებელია. საერთოთ რომ ავიღოთ, რუსეთი ჯერ კიდევ მეურნეობის ქვეყანაა, გერმანია და ბელგია კი სამრეწველო. მოყვანილი ციფრები მხოლოდ იმას ამტკიცებენ, რომ რუსეთის მრეწველობას უმთავრესათ გიგანტური მსხვილი მრეწველობის ხასიათი აქვს. ამიტომ თავის მოქმედებაში იგი ბაძავს კაპიტალისტურ ქვეყნებს, სადაც ამ ბოლო დროს კაპიტალისტთა კავშირებმა დიდი ადგილი დაიკავეს ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს კავშირები, სინდიკატებისა და ტრესტების სახით არსდება ერთი მიზნით: ასწიონ ბაზარზე საქონლის ფასები. კერძო კაპიტალისტებს შორის გამეფებულ ქიშპობას, ე. წ. საკონკურენციო სისტემის კაპიტლისტის სარგებელი ჩამოყავს მინიმუმამდე. ამიტომ ეს უკანასკნელები კავშირდებიან, რომ წარმოება თავის სურვილისამებრ მოაწესრიგონ და ბაზარი თავის მონოპოლიათ გაიხადონ. ამიტომ სინდიკატები და ტრესტები ყოველთვის მიზნათ ისახავენ საქონელზე ფასების გადიდებას, უკეთეს შემთხვევაში, მის ერთს დონეზე შეჩერებას. ისინი ამათ აძლიერებენ არა მარტო მუშათა ექსპლოატაციის არამედ აგრეთვე ექსპლოატაციას ფართო საზოგადოებისა, რომელსაც მომხმარებელი ეწოდება. ამ შემთხვევაში კაპიტალისტი მდიდრდება, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, სრულიად ხელოვნურათ, მომხმარებლის პირდაპირი გაძარცვით. ტეხნიკური გაუმჯობესება წარმოების, საქონლის გაიაფება და ასე ბაზრის გაფართოება მასსიური მომხმარებლის გამრავლებით—ყველაფერი ეს ზედ-მეტია კაპიტალისტისათვის. ბაზარზე და წარმოებაში მონოპოლიის მოპოება მას საშუალებას აძლევს ასწიოს საქონელზე ხელოვნურათ ფასები. გამდიდრების ასეთი იოლი საშუალება მეტათ მიმზიდველი და ხელსაყრელი დარჩა რუსეთის კაპიტალისტებისთვისაც. დაწყებული მე-80 წლებიდან, რუსეთში თანდათან ფეხს იკიდებს და მრავლდება სხვადასხვა ჯურის სინ-

---

*) ეს ცნობები ამოღებულია პ. მასლოვის სტატიიდან—«Развитіе индустріи и борьба классовъ въ «Россіи, იხ. Совр. Міръ» № 1.

იკატები და ტრესტები. ჩამოვთვალოთ ზოგიერთი მათგანი: 1882—84 წ.წ. დაარსდა დამზღვევ საზოგადოებათა კავშირი; 1886 წელს ლურსმის და მავთულების სინდიკატი. მიზანი სინდიკატის, როგორც მისი წესდება აღნიშნავს, საქონელზე ფასების აწევა იყო. ერთი წლის შემდეგ შესდგა ე. წ. შაქრის სინდიკატი ქ. კიევში, ხოლო 1892 წელს მთავრობის დახმარებით არსდება მენავთეთა სინდიკატი „უცხოეთის ბაზარზე საქონლის უკეთ გასასაღებლათ". 1895 წლიდან ხდება საიდუმლო შეთანხმება ქვა-ნახშირის მრეწველთა და მეტალურგისტთა შორის.

ეს იყო სინდიკატების განვითარების პირველი ხანა. მეორე ხანა იწყება 1901 წლიდან. იგი პირველზე უფრო ნაყოფიერი გამოდგა კაპიტალისტებისათვის და სინდიკატ-ტრესტების ზრდა-გამრავლებამ ძლიერი—ინტენსიური ხასიათი მიიღო. 1902 წელს დაარსდა „პირველი აქციონერული საზოგადოება რუსეთის მეტალურგიული ქარხნების ნაწარმოებთა გასასყიდათ". ერთი წლის შემდეგ არსდება ქ. ხარკოვში შეთანხმება მანქანების მკეთელ ქარხნებისა წარმოების მოსაწესრიგებლათ და ერთნაირი ფასების დასაწესებლათ. ამავე წელს დაარსდა კავშირი მილების მკეთებელ ქარხნებისა; ამ საზოგადოებაში შევიდა რუსეთის ყველა ქარხნები, რომლებიც წყლის საყვან მილებს აკეთებენ. ამ დროიდან მოკიდებული სინდიკატები სოკოსავით მრავლდება, 1907—1908 წლებში არსდება დიდი სინდიკატები: „კროვლია", „პროდამეტი" (ლითონის გამყიდავი), „სპილენძი", „პროდუგოლი" ქვა-ნახშირის გამყიდავი, რეზინის ფაბრიკების სინდიკატები და ბევრი სხვა. **ნ. ხ.**

(შემდეგი იქნება)

## ძველი სექცია და ახალი წრე.

—

იმ დროს, როდესაც სათავად-აზნაურო თეატრი თითქმის ცარიელია, ზუბალაშვილების სახალხო სახლი ხალხით გაჭედილია. იმ დროს, როდესაც თფილისის ქართველი საზოგადოება სხვადასხვა სალონებში თავს იყრის, ქორიკანობას, მსუბუქ ფლირტს ეწევა, ან და მოწყენილია და ამთქნარებს, ამთქნარებს და მოწყენილია,—თფილისის განაპირა ადგილებიდან, მუშათა უბნებიდან ხალხი გროვ-გროვათ სახალხო თეატრისაკენ მიეშურება. ხალხი ისე მიეჩვია სახალხო წარმოდგენებს, რომ მისთვის თითქმის საჭიროც არ არის აფიშის საშვალებით თეატრში მიწვევა, სათავად-აზნაურო თეატრში კი თვით იერიქონის საყვირიც ვერ მორეკავს საზოგადოებას. ეს გაზვიადებული სურათი როდია, ეს ფაქტია, ეს ყველამ იცის, ყველა ხედავს ვინ განაგებდა და განაგებს დღესაც სახალხო თეატრის საქმეს? განაგებს სახალხო უნივერსიტეტის ქართულ წარმოდგენების გამმართველი სექცია. საინტერესოა გავიგოთ პირ-ნათლათ ასრულებს ეს სექცია თავის დანიშნულებას თუ არა? რა ტენდენციას ატარებს ის თავის მოღვაწეობაში? აქვს თუ არა მას სურვილი და უნარი შეაყვაროს ხალხს თეატრი, შემოკრიბოს ხალხი ამ თეატრთან? ვუპასუხოთ ამ კითხვებს.

ქართული სექცია სისტემატიურათ აწყობს წარმოდგენებს; ხალხი თეატრში აუარებელი დაიარება; ხალხს წარმოდგენები მოსწონს; თეატრის რეპერტუარი ასე თუ ისე ხალხის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს; მომავალში ის უფრო დაუახლოვდება ხალხს. ეს იცის ყველამ, ვინც სახალხო წარმოდგენებზე დაიარება.

პირველი კითხვა დადებითად გადაიჭრა. განვაგრძოთ.

სექციის მოღვაწეობა ეხება ხალხის დაბალ ნაწილების ინტერესებს. სექციაში თვით მუშები მუშაობენ ინტელიგენტებთან ერთად. წარმოდგენების ფასი ღარიბი ხალხისთვის ხელ-მისაწდომია (5—50 კაპ. ადგილზე). ტენდენცია დემოკრატიულია. სექციის მოღვაწეობამ დააინტერესა ხალხი, ის ელტვის თეტრს; თეატრის ბედ-იღბალი მას თავის ბედ-იღბლათ მიაჩნია. რაც დრო გადის, სექციის და თეატრის, და აქედან სახალხო უნივერსიტეტის ირგვლივ უფრო მეტი და მეტი წევრები იყრიან თავს. ხალხი ილტვის განათლებისაკენ და განმანათლებელ დაწესებულებისაკენ. მუშა ხალხის ინსტინქტი განათლებისაკენ შეგნებათ იქცევა, აუცილებელ მოთხოვნილებათ გახდება მალე. ამაში კი დიდი ღვაწლი მიუძღვის სექციას და თვით მუშებს, რომლებიც თვით შედიან და ინტელიგენტებთან ერთად მუშაობენ ამ სექციაში.

მაშ, საქმე რიგიანათ ყოფილა დაყენებული: სახალხო უნივერსიტეტთან არსებული სექცია თავის ადგილზეა, მას მხოლოდ წინ-სვლა ეჭირვება, როგორც სხვა ყველა საქმეს. ის არსებობს. ახლა ვიკითხოთ: თუ ყოველივე ეს ასეა, საჭიროა თუ არა ამ აწ არსებული დაწესებულების დამარხვა და მის ნანგრევებზე სხვა რამ ახალის აშენება? ან საჭიროა თუ არა სექციასთან ერთად იარსებოს სხვა დაწესებულებამ, ამავე საქმისთვის გასაძღოლათ?

შვიდი ძიძით გაზდილი ბავშვი დაბრუციანდა თურმე, როგორც ამბობს ხალხის თქმულება. ჩვენ გვახსოვს ეს თქმულება და გვგონია, რომ თფილისის მუშა ხალხსაც ეს ბედი მოელის სხვა ფორმით, რასაკვირველია,—თუ ერთ და იმავე დროს ძველი სექციაც იმოქმედებს და სხვა რამ ახალიც.

ზევით ჩვენ დავინახეთ, რომ არსებული სექცია კარგათ მიუძღვება საქმეს. მიუხედავათ ამისა, ერთმა ჯგუფმა მაინც მოისურვა ამის ადგილას ახალი „წრის" შექმნა, ეს სურვილი სისრულეში მოიყვანა და ახლო მომავალში მოქმედების დაწყებას შეუდგება.

ასამარებენ სექციას და აარსებენ ახალ „წრეს". კეთილი. ვნახოთ, უკეთესი იქნება ეს „წრე"? ყოველი „საზოგადოების" ფიზიანომია მის წესდებაში იხატება, ეს მისი სარკეა. ჩავიხედოთ ამ სარკეში. ერთი მუხლი უძველეს დროის კასტას მოგვაგონებს: ნამდვილ წევრთა რიცხვი 60-ით განისაზღვრებაო,—გვეუბნება ეს მუხლი,—და თითო წევრმა სამი მანეთი უნდა შემოიტანოსო. ეს ხომ ის მაღალი და მაგარი ზღუდეა, რომელსაც ვერც გადააბიჯებს და ვერც გაარღვევს უბრალო მომაკვდავი? ეკითხებით თქვენ, დემოკრატიული პრინციპის მოტრფიალე. არაო, გიპასუხებს ახალი „წრე", ჩვენ არა-ნამდვილი წევრებიც გვეყოლებაო. ჩაიხედავ კიდევ იმავე სარკეში და იქიდან ერთი მუხლი გეუბნება: არა-ნამდვილი წევრების რიცხვი განუსაზღვრელია, მაგრამ ამ წევრმა ხუთი მანეთი უნდა შემოაგოროს კასაშიო. იშოვნე, მომავალო ღარიბო წევრო, ხუთი მანეთი და ჩაეწერე წევრათ. მერე? ვერც გამგეობის და ვერც სარევიზიო კომისიის წევრობა ვერ მოგართვიო,—გეტყვის ერთ-ერთი მუხლი. ჩავიწიოთ კიდევ ქვევით. ყოველი ახალი წევრი მიიღება „წრეში" კრების ორი მესამედის უმრავლესობით. სხვა ამგვარ დაწესებულებებში ჩასაწერათ საკმარისია უბრალო უმრავლესობამ მოისურვოს შენთან ამხანაგობა-მუშაობა, რომ სრულ-უფლებიანი წევრი შეიქნე. იქ კი შეუმჩნევლათ კიდევ ზღუდე აუტუზიათ. აი რა ფიზიონომიის დაგვანახვებს ამ ახალი „წრის« სარკე-წესდება. ამისთანა უთვალავი თვალ-მარგალიტებით არის ის მოჭედილი და როდესაც ამ ანტიდემოკრატიულ ტენდენციაზე მიუთითებენ „წრის" დამაარსებლებს, ისინი ქვას ააგდებენ და თავს შეუშვერენ: როგორ არ გრცხვენიათ, ჩვენ ანდემოკრატიზმს გვწამებთო, „წრის« დემოკრატობას მისი შემადგენლობა ამტკიცებსო. ჯერ ერთი, რომ შემადგენლობა ვერაფერი თავდები და საბუთია ამა თუ იმ პრინციპის ცხოვრებაში გასატარებლათ: თუ სავლე პავლეთ იქცა, შესაძლოა პავლეც იქცეს სავლეთ; ამის მაგალითებიც ბევრია. მაგრამ იქ, სადაც სიმონ ყიფიანი ერთ-ერთი შემადგენელია, დემოკრატიულ პრინციპზე და იმ მიზნის განხორციელებაზე ლაპარაკი, რომელსაც სახალხო უნივერსიტეტი და მისი სექცია ემსახურებიან, სულ რბილათ რომ ვთქვათ, თავის მოტყუილება იქნება.

მე მინდა გავათავო, მაგრამ არ შემიძლია არ ვიკითხო: რა გარემოება, რა აუცილებელი საჭიროება ამართლებს ახალი „წრის" დაარსებას? მე ვამბობ: არაფერი. მაშ, სად მარხია მართლაც ის ძაღლის თავი, რომელმაც ასე ააქოთა სახალხო თეატრის საქმე?

მე ვეკითხები ამას არა იმ პირს, რომელიც მოედანზე გამოვიდა და თამამად იცავს ახალი „წრის" აუცილებლობას, არამედ მათ, რომლებმაც ის, ჩემის აზრით შეცდომაში შეიყვანეს;—მათ, რომლებიც დღეს პოლემიკაში **პირდაპირ** არ ერევიან. არ ვეკითხები იმ პირს იმიტომ, რომ მას ძაღლის თავის ჩაფლვაში მონაწილეობა არ აქვს მიღებული.

და სანამ ეს უჭკუ-მდგარი პირნი გვიპასუხებდენ, მე ვეკითხები ბ.ბ. ტოროშელიძეს და სვირელს: როდესაც აღნიშნულ სექციაში განხეთქილება ჩამოვარდა და სექციის რეორგანიზაციის მოსახდენათ ძველი სექციის წევრებმა—უმეტესათ მუშებმა—სახალხო უნივერსიტეტის გამგეობას სექციის ახალი წევრების სია დასამტკიცებლათ წარუდგინეს, სწორედ იმ ხანებში ლაპარაკობდენ ისინი, ტოროშელიძე და სვირელი, თუ არა: 1) მოიცადონ ერთი, ჩვენ უკვე შევიმუშავეთ ახალი „წრის" წესდება, გუბერნატორი მას მალე დაამტკიცებს და მაგ ვაჟ-ბატონებს პირში ჩალა-გამოვლებულს დავტოვებთო? 2) რა მოხელეები არიან სექციაში მუშები—რეპერტუარის შემუშავებაში ისინი ვერაფერ დახმარებას ვერ აღმოგვიჩენენ, სცენის მოყვარეთ მაგენი არ ვარგან, ვინმესათან მოსალაპარაკებელი რამე გვექნება, ვერ წავლენ და ვერ მოილაპარაკებენო?

არა, არ გითქვამთ?

რომ დამტკიცდეს?

დასასრულ ჩვენ ვიტყვით: ის, ვისაც სახალხო საქმე აინტერესებს, ვისაც სურს, რომ თფილისის დემოკრატიულმა ნაწილება თავი მოიყაროს სახალხო უნივერსიტეტის გარშემო; ვინც ხედავს, რომ უკვე ეს ნაწილები მის გარშემო თავს იყრიან; ვისაც სწამს, რომ სახალხო უნივერსიტეტს მიზნათ აქვს დასახული ხალხში სწავლა-განათლების სურვილი აღიძრას და ამ მიზნის მისაღწევათ მას ერთ-ერთ საშვალებათაგანი სახალხო თეატრი აქვს, სადაც ის ხალხს სასარგებლო გასართობებს აძლევს; ვინც დარწმუნებულია, რომ არსებული ქართული წარმოდგენების გამმართველი სექცია სახალხო უნივერსიტეტისა პირნათლათ ასრულებს თავის მოვალეობას,—ის უეჭველად ამ სექციას გვერდში უნდა ამოუდგეს და მასთან ერთათ იმუშავოს. ერთ კატეგორიის საქმეებს ერთ ფარგალში უნდა თავის მოყრა და არა აქეთ-იქით გაბნევა.

**იკა.**

*) ეს წერილი დაგვიანებით იბეჭდება. რედ.

# უკანასკნელი ფოსტა

### ოსმალეთი.

**ოსმალეთის პარლამენტის გახსნა.** ოსმალეთში პარლამენტის ახალი სესიის გახსნის წინ დიდ მზადებაში არიან. პარლამენტი დროებით მოთავსებული იქნება ჩერაგანის სასახლეში, სადაც ყოფილი სულთანი მურადი ოცდაათი წელიწადი იყო დამწყვდეული.

**შეთქმულობა ოსმალეთში.** „ფრანკფურტერ ცაიტუნგს" სტამბოლიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ ლიბერალური კავშირის წევრები შეთქმულობის მოხდენას აპირებენ. შეთქმულობის მიზანია ახალგაზდა ოსმალთა ბატონობას ბოლო მოეღოს. მთავრობამ ყველა მეთაურების ვინაობა იცის.

### რუსეთი.

**ინციდენტის შედეგები.** სატახტო გაზეთების სიტყვით გენერალ ბეკმანსა და დუმბაძეს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება ორივეს სამსახურიდან გადაყენებით გათავდება.

**უქმე დღეების შემცირება.** სახელმწიფო საბჭოს კომისიამ, რომელსაც განსახილველათ ქონდა გაცემული უქმე დღეების რაოდენობის საკითხი, დაადგინა 92 უქმე დღიდან გამოკლებულ იქნას 25.

**ეკონომიური ჯგუფი.** სახელმწიფო საბჭოში დაარსდა ახალი ეკონომიური ჯგუფი. ჯგუფმა გადასწყვიტა პირველ რიგში წამოაყენოს საკითხი წვრილი კრედიტის შესახებ.

**არალეგარული წიგნების საწყობი.** უკანასკნელი ხნის განმავლობაში ნევის პროსპექტზე და პეტერბურგის სხვა ქუჩებზე უმუშევარი მუშების ჯგუფი გაჩნდა, რომელიც აკრძალულ წიგნებს და ბროშიურებს ყიდდა. პოლიციამ მათ თვალყურს დევნება დაუწყო. აღმოჩნდა, რომ ისინი ხშირათ იკრიბებოდენ სახაიეში, რომელიც როჟდესტვენსკის ქუჩაზეა მოთავსებული. აქ მუშებს ვინმე ფედორ იგნატიევი წიგნებს ურიგებდა გასასყიდათ. 26 ოქტომბერს პოლიციამ სახაიეში დაატუსაღა იგნატიევი და სამი უცნობი. დატუსაღებულებმა განაცხადეს, რომ წიგნები მიიღეს ტრუხმელევიჩისაგან, რომელიც ნევის პროსპექტზე ვაჭრობს წიგნებით. 26 ოქტომბერს საღამოზე პოლიცია აღნიშნულ ბინაზე მივიდა, სადაც მართლაც აღმოაჩინა აკრძალული წიგნები და ბროშიურები. წიგნებზე აღმოჩნდა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის „ნოვი მირის" ბეჭედი. ამის გამო პოლიციამ წიგნების გამომცემელი ამხანაგობის გამგის, კალაფატის ბინა გაჩხრიკა. პოლიციამ დიდ-ძალი აკრძალული წიგნები და ბროშიურები წაიღო კალაფატის ბინიდან.

**პურიშკევიჩი.** როგორც ვიცით, დეპუტატ პურიშკევიჩს პეტერბურგის სამოსამართლო პალატამ ფილოსოფოვის შეურაცხყოფისათვის ერთი თვის ციხე მიუსაჯა. ამ ჟამათ პეტერბურგში ხმები დადის, რომ ბრალდებულის შუამდგომლობით სასამართლომ მას სასჯელი ერთი კვირით შინაური დატუსაღებით შეუცვალაო.

**ჭეშმ. რუსთა კავშირის „დანოსი"** ნიჟნი-ნოვგოროდის ქ. რ. კავშირს პეტერბურგში „დანოსი" გაუგზავნია, ადგილობრივი სახალხო უნივერსიტეტის სექცია ეკლესიას უარყოფს და მთავრობის საწინააღმდეგო აზრებს ქადაგებსო.

**ახალ-გაზდა მოგზაურები.** 25 ოქტომბერს ეკატერინგოფსკის ქუჩაზე (პეტერბურგში) მცხოვრებ ბურკოვის 14 წლის ვაჟმა დედას 110 მანეთი და რკინის გზების ქარტა მოპარა და 13 წლის ამხანაგთან, ტრანსნიხინთან ერთათ, სახლიდან გაიპარა. ახალგაზდა მოგზაურს წერილი დაუტოვებია, რომლითაც მშობლებს ატყობინებს, რომ სამოგზაუროთ მივდივარო. ორივე მგზავრი სამოქალაქო სასწავლებელში სწავლობს. მათ დასაჭერათ რკინის გზებზე დეპეშები დაგზავნეს.

**დუმის გარშემო.** სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას დუმაში შეკითხვა შეაქვს: მოეხსნებათ თუ არა იუსტიციის და სამხედრო მინისტრებს, რიგის გამასწორებელ განყოფილებებში დარაჯებმა თოფით მოკლეს ემმა პოზენი და ედუარდ პელი, და თუ მოეხსნებათ, რა ზომების მიღებას აპირებენ, რომ მომავალში ასეთ შემთხვევებს ადგილი არ ქონდეთ.

**პურიშკევიჩი და ილიოდორე.** ილიოდორემ პურიშკევიჩს მიმართა წინადადებით პეტერბურგში ყოველდღიური კაპეიკათ ღირებული გაზეთი გამოსცეთო. პურიშკევიჩმა ამაზე თანახმობა გამოუცხადა ილიოდორეს. მათ გაზეთის გამოცემის ნებართვაც მიიღეს მთავრობისაგან. გაზეთის მიზანია—ოპოზიციონურ პრესასთან ბრძოლა...

### საზღვარ-გარეთ.

**ახალი პროვოკატორი.** ბურცევმა ერთი პროვოკატორი ქალის მოქმედება გამოაქვეყნა ამ დღეებში. ანნა გრიგორის ასული სერებრიაკოვა მოსკოვის სოც. დემ. ორგანიზაციის წევრი—24 წელია, რაც პოლიციაში მსახურობს თურმე.

**გერმანია-ინგლისის დამოკიდებულება.** გერმანიის ახალშენების მინისტრი დენბურგი, ერთი კვირაა, რაც ლონდონში იმყოფება. ამ გარემოებამ ინგლისის პრესას მიზეზი მისცა დაესკვნა, რომ ინგლის-გერმანიის დამოკიდებულებაში ახალი ხანა დგება, რომელსაც შეუძლია ეს ორი ძლიერი სახელმწიფო სამუდამოთ დაამეგობროსო. თანამედროვე საზოგადოების სულიერი განწყობილება ორივე სახელმწიფოში,—განაკრძობს ინგლისის პრესა—მშვიდობიანი კავშირის განმტკიცების პირობებს იძლევა და ინგლისის დიპლომატიამ რომ ამ გარემოებით არ ისარგებლოს, მომაკვდინებელ დანაშაულობას ჩაიდენსო.

**სოც.-დემოკრატების დევნა.** სოციალ-დემოკრატების დევნით გამოწვეული მოძრაობა რუმინიაში თანდათან მშვიდდება. გაფიცვაც გათავებულათ უნდა ჩაითვალოს. მთავრობამ გადასწყვიტა დამნაშავენი სასამართლოს წესით დასაჯოს. საპროტესტო მიტინგებს მშვიდობიანი ხასიათი აქვს. გამოჩენილი დეპუტატები და ვექილები 19 სოციალდემოკრატის დასაცავათ ემზადებიან.

**ეპისკოპოსების წინაამდეგ.** საფრანგეთის სახალხო სკოლების მასწავლებელს გადაუწყვეტია სასამართლოს წესით პასუხისგებაში მისცენ ეპისკოპოსები, რომელთაც საერო შკოლების წინაამდეგ გამოცემულ მოწოდებაზე უწერიათ ხელი. საფრანგეთის პედაგოგებს ამ მოწოდებით თავი შეურაცხყოფილათ მიაჩნიათ და სურვილს გამოსთქვამენ, რომ ეპისკოპოსების მოქმედება საქვეყნოთ იქნეს გაკიცხული. საფრანგეთის მასწავლებლებს მხარს უჭერს მინისტრი ბრიანი, რომელსაც არა ერთხელ განუცხადებია, რომ შკოლას მფარველობა უნდა გაუწიოს არა მარტო სახელმწიფომ, არამედ ორივე სქესის მასწავლებლებმაო.

**უცხოელები შვეიცარიაში.** შვეიცარიაში ხუთასი ათასი უცხოელი სცხოვრობს, რაც შვეიცარიის მცხოვრებთა ერთ მეექვსედს შეადგენს. ჟენევის კანტონში გადმოსახლებული ფრანგები მცხოვრებთა ორ მეხუთედს შეადგენენ. შვეიცარიის საზოგადოებრივი აზრი მოითხოვს, რომ გადმოსახლებულებს ყველა მოქალაქობრივი მოვალეობანი ქონდეთ დაკისრებული. ბევრ ქალაქში მიტინგები გამართეს, სადაც სხვადასხვა პარტიების ორატორებმა ის აზრი გამოსთქვეს, რომ უცხოელების შვილებმა, რომელნიც შვეიცარიაში არიან დაბადებულნი, სამხედრო ბეგარა მოიხადონო.

**სოციალისტების მიტინგი.** ბოლგარიის პროვინციალურ ქალაქებში სოციალისტები მიტინგებს მართავენ და მოითხოვენ, რომ მთავრობა გამოექომაგოს რუმინიის პოლიციის მიერ დევნილ რაკოვსკის,—როგორც ბოლგარელს.

**ბოლგარიის ს. დ. პროტესტი.** 27 სექტემბერს სტუდენტთა სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის თაოსნობით სოფიაში დიდი მიტინგი გაიმართა. მიტინგმა პროტესტი გამოუცხადა რუმინიის მთავრობას, რომელიც სოციალ-დემოკრატებს სდევნის.

## ოთხი ლექცია

(დასასრული.)

გვაზავას საუბედუროთ, ტრიბუნა ხატისოვმა დაიკავა. მას ისე უკავია თავი, ვითომც ტრიბუნაზე დაბადებულიყოს. აზრი სიტყვას უსწრობს, სიტყვა—აზრს. ის შედარებებით ლაპარაკობს. ის სიტყვის ბატონია. მოპირდაპირეს ის ჯენტმელურათ, მაგრამ დაუცილებლათ აწნის მათრახს. ერთი სენი კი სჭირს ხატისოვს: ის მეტის-მეტი არშიყია: აქეთ რომ ერთს ეალერსება, იქით მეორეს უქნევს თავს, მესამეს ერთგულ ქმრობას ჰპირდება, მეოთხეს „ან ერთათ სიცოცხლე, ან ერთათ სიკვდილიო" ეფიცება.

გაუკეთა რა მოხდენილათ რევერანსი მთავრობას, მან თავზე ნაზათ ხელი გადაუსვა ინტელიგენციას. გადილია რა ვაჟ-კაცურათ გულ-მკერდი პროლეტარიატის ინტერესებისათვის გასაგმირავათ, მან კაცობრიობის მეორე მშვენიერ ნახევარს შესაფერი კომპლიმენტა მიუძღვნა და აქვე არც „ტეტია" გლეხი დაივიწყა. ერთში კი მისი ხაზი პირდაპირი და შეუცვლელი იყო: მან ბევრი უბრაგუნა—უკაცრავად—ბ. გვაზავას.

შემეცოდა გვაზავა.

თქვენ გინდათ, ამბობს ლექტორი, რომ მდინარე აღმა წაიყვანოთ? ეს ხომ ბუნების კანონის წინაამდეგობაა! თქვენ გინდათ შეებრძოლოთ ისტორიულ რკინის კანონით გამოწვეულ მოვლენას: სოფლის დენას ქალაქისაკენ? ეს ხომ დონკიხოტობაა!

ქალაქის ანგარიშზე თქვენ **სოფლელების** ბედნიერება გწადიათ? მაგრამ თქვენი სოფლელები ხომ ორი ელემენტისაგან შესდგება: თავად-აზნაურობა და გლეხობა; და როდესაც თქვენ პირველ ელემენტს 29 წევრის არჩევის უფლებას აძლევთ, მეორეს კი მხოლოდ 12-ისას,—ამას თქვენ სოფლის ინტერესების დაცვას უძახით? ეს კი ჩემის აზრით მემამულეების ინტერესების დაცვაა და არა გლეხების.

ჩვენი ხსნა ქალაქის მცხოვრებთა სოფლისაკენ დენაშიაო,—გაიძახით თქვენ და გავიწყდებათ ევროპის და ამერიკის ვითარება: იქ ხომ დიდი უმრავლესობა ქალაქებში ცხოვრობს და განა შეიძლება შეედაროს იქაური ბედნიერება აქაურ სიდუხჭირეს?! კითხულობს ლექტორი.

—

ახოვანი, თეთრ-წვერა და თეთრთმიანი ბ. მილიუტინი თავაზიანათ მიესალმა აუდიტორიას. ის ოქტომბრისტია. ის ძლიერ დაბალი ხმით ლაპარაკობს. ალბათ, ოქტომბრისტს—გავიმეორებ სხვის ნაკვესს—არ ეხერხება ოქტომბრისტებზე ხმა-მაღლა ლაპარაკი.

— როგორღაც არ მეხერხება,—იწყებს სწორედ ამ სიტყვებით ბ. მილიუტინი, თქვენთან ლაპარაკი: თფილისში ჩვენი პარტია არ არსებობსო და განაგრძობს: იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ალექსან-

დრე ივანეს ძე გუჩკოვი. აგრეთვე რუსეთში იყო ხალხი, ბევრი, ძლიერ ბევრი. ჯერ ჩუმათ და მშვიდათ იყო ეს ხალხი, მაგრამ ბოლოს-და ბოლოს რაღაც შფოთიანობა დასჩემდა მას. ამ დროს კარებზე დაგვიკაკუნა 1905 წელმა. იყო აგრეთვე სხვადასხვა ოპოზიციონური და რევოლიუციონური ჯგუფები. 1905-ში ყველა ეს ჯგუფები შეერთდენ. ამათთან იყვენ, რასაკვირველია, ერობის საუკეთესო მოღვაწეები. ყველას ერთი მიზანი ქონდა, ყველას სურდა რუსეთის ცხოვრების პირობების შეცვლა, ყველა ითხოვდა თავისუფლებას. თურმე ნუ იტყვით და როდიჩევი და მარკოვი მეორე ხელი-ხელ ჩაკიდებულნი დაიარებოდენ—პეტრე სტრუვე აღარ მოაგონდა—და ერთად „ბუნტობდენ“ (ეს სიტყვა ლექტორს არ უხმარია). დაიწყო დიდი გაფიცვები. ერთი სიტყვით, ლექტორმა დაუზოგავებლათ ილაპარაკა იმაზე, რაც დღეს „სტოროჟ მიხვიჩმაც“ კი იცის. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ დღეს რუსეთში ერთი არს პარტია, ნამდვილი, ნაღდი პარტია, ოქტომბრისტების პარტია და მისი წინასწარმეტყველი ალექსანდრე გუჩკოვი და თუ როდესმე რუსეთი რამეს ეღირსება, ყველამ მათი ფეხნაბანით ნათლის ღება უნდა მიიღოს და ოქტომბრისტებს ფეხები უნდა დაუკოცნოს, თურმე პირველი ორი დუმა რევოლიუციონერებით და კადეტებით იყო სავსე. ოქტომბრისტები იქ შორი-შორს იყვენ დარგულნი. ამიტომაც იყო, რომ ორმა დუმამ ვერაფერი ვერ შემატა რუსეთს. ლაპარაკობდენ და აგიტაციას ეწეოდენ, საქმეს კი არავინ არ აკეთებდა. მაგრამ, აი გამოვიდა თურმე 3 ივნისის კანონი. ეს კანონი თუმცა უკანონოა, მაგრამ მაინც კანონიერია თურმე. ამ უკანასკნელი კანონის ძალით შემდგარა მესამე დუმა და შიგ ოქტომბრისტები პანტასავით შეცვენილან. მე მგონია, სთქვა ლექტორმა, რომ სამმა ივნისმა ოქტომბრისტებს დიდი ზიანი მიაყენა, ვინაიდან ამ კანონმა ბევრი მარცხნივ დასწია და მთავრობის მოწინაალმდეგეთა რაზმები გაამრავლა, ოქტომბრისტები უიმისოდაც ბლომათ იქნებოდენ არჩეულნიო. შემდეგ ორი სიტყვა ერობაზედ. თურმე ისინი ჩვენში ერობის შემოღების მომხრე ყოფილან. მართალია, ჯერჯერობით ფრთა-შეკვეცილის, მაგრამ ღმერთი მოწყალეა, ერობის უფლებების გაფართოვებას მერეც მოვესწრებითო. და მარტო ჩვენ კი არაო, ამბობს ბ. მილიუტინი, ერობის მომხრე ხხვა პარტიებიც არიან; ეს მე დანამდვილებით ვიციო; მე ბევრ დეპუტატებს ვიცნობ და მათი აზრი ვიციო. ერთი სიტყვით, მე ამ სიტყვებიდან ის აზრი გამოვიტანე, რომ ბ. მილიუტინი ЗАМОЛВИТ СЛОВЕЧКО პეტერბურგში, ოღონდ ჩვენ, კავკასიელები უფრო ჭკვიანები უნდა ვიყვეთ და ღირსეული დეპუტატები უნდა ავირჩიოთ შემდეგში მაინც.

ამით გათავდა ბ. მილიუტინის ლექცია. „თფილისში ოქტომბრისტების პარტია არ არსებობს“,—იწყებს ლექტორი ლექციას. „აირჩიეთ შესაფერი დეპუტატები“,—ათავებს იმავე ლექციას.

რა ალაპარაკებს ნეტა ბ. მილიუტინს? ამისთანა ადვილი გამოცანა საბავშო ჟურნალებშიც არ მოიძებნება.

დასასრულ ერთი რამ უნდა შევნიშნო ბ. მილიუტინს: როდესაც ის ოქტომბრისტების საქმიანობას შეეხო, მან ვერც ერთი კანონი ვერ დაასახელა, რომელიც ოქტომბრისტებს გაეყვანოსთ სახელმწიფო დუმაში.

იკა.

# პროვინცია

**ქობულეთი.** ადგილობრივ მუსულმანებს ტყის მცველმა მარკევიჩმა გამოუცხადა, რომ მდ. ჭოროხის მხრიდან ტყით უფასოთ სარგებლობა დღეიდან გეკრძალებათო. ამ ტყიდან მოქონდათ შეშა, ფიჩხი და სხვა საოჯახო მასალები, რადგან ახლოს არის და მოტანა ადვილია. ეხლა კი ჯიხანჯირში მისცეს ნება სარგებლობის, მაგრამ ეს ტყე ისე დაშორებულია სოფელზე, რომ ერთი ურემი შეშის მოტანას ორი დღე უნდება კაცი. ხალხი ძლიერ დაალონა ამ ამბავმა.

— 24 სექტემბერს აქ მოვიდა ბათუმის გუბერნატორი და ხალხს გამოუცხადა იარაღები ჩაგვაბარეთო. წინაალმდეგ შემთხვევაში ეგზეკუციით დაემუქრა.

— აქ დაგვინიშნეს ახალი ექიმი ევენდიევი. თუმანოვის შემდეგ ის ნამდვილ მფარველ ანგელოზათ მოგვევლინა. მოსვლისთანავე ის ენერგიულათ შეუდგა თავის მოვალეობას ასრულებას და დიდ სამსახურსაც უწევს ხალხს.

კონტრაბანტი.

—

**ქართლი.** საზოგადოთ მთელ ქართლში წრეულს ძალიან ნაკლები მოსავალი იყო და თესლის უქონლობის გამო ბევრს დარჩა დაუთესელი ხნულები. ვისაც შეეძლო, ვალათ იშოვა თესლი და დასთესა. ბევრს ეხლავე აკლია საზრდო და შემდეგ რაღა ეშველებათ?! ხალხი ისე თავის უსაჭმელობამ არ დაადონა, როგორც საქონლის საკვების უქონლობამ. ამის გამო საქონელი ჩალის ფასათ იყიდება, მაგრამ მყიდველი არავინაა.

ამ გარემოებამ გამოაფხიზლა გლეხები, ზოგიერთ სოფლებში დაფაცურდენ და სადაც ყოფილა პურის საზოგადო მაღაზიები შედგენ განახლებას და სადაც არ იყო, დაარსებას. სოფ. შინდისის საზოგადო პურის მაღაზიამ შესწყვიტა მოქმედება მოძრაობის შემდეგ, რადგან ზოგიერთებმა მაღაზიის ვალი აღარ შეიტანეს. გუბერნატორის ბრძანებით ზედამხედველმა კომიტეტმა მაღაზიის ყველა მოვალეებს დააკისრა ამ ცოტა ხანში შეიტანონ ვალი და ამოირჩია ახალი გამგეები. იმედია ამ სასარგებლო საქმეს კარგა გაუძღვებიან, რათა სხვა სოფლელებსაც ხალისი არ დაუკარგონ ამ გვარ მაღაზიების დაარსებაში.

სოფ. შინდისის მცხოვრებლებმა დააარსეს საზოგადო სასოფლო საწვრილმანო დუქანი. თუმცა დუქანს სარგებლობა შემოქონდა, მაგრამ რაღაც მოსაზრებით მაინც იჯარით გადასცეს სხვას. სოფელს აქვს სკოლა, საჭიროა სამკითხველოც, მაგრამ შინდელი, „ვითომდა ინტელიგენტები“, უფრო „კომპანიებისთვის“ ზრუნავენ, ვიდრე ხალხის სასიკეთო საქმისათვის. ერთმა პირმა აღძრა საკითხი სამკითხველოს დაარსების შესახებ, მაგრამ მას არავინ არ გამოუჩნდა მომხრე და ჯერ-ჯერობით საქმე შეჩერებულია.

სოფ. რუისშიაც აპირობენ საზოგადო პურის მაღაზიის დაარსებას. რამდენიმე პირმა კიდეც შეიტანა ხვედრი პური, მაგრამ ბევრს შიშით და ბევრსაც პურის უქონლობით ჯერ-ჯერობით ვერ გაუბედნია წევრათ ჩაწერა.

—

**სოფ. ურბნისის და რუისის** სარწყავ მამულების მოსარწყავათ მოჰყავთ ლიახვიდან წყალი, თითქმის ოცი ვერსტის სიშორიდან, მინდვრის რწყვის დროს დიდი უსამართლობები ხდება: მერუე იმას აძლევს წყალს, ვინც მეტს დაალევინებს. ამის გამო უსიამოვნება სშირია. ზოგი ვაჟბატონები მზა-მზარეულ წყალს თავიანთ წისქვილებს მიუგდებენ ხოლმე და ისედაც გაჭირვებულ ხალხს უკიდურეს მდგომარეობაში აყენებენ.

იმედია ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევს წყლების მირაბი ბ-ნი ალექსანდრე მაჩაბელი, რომლის პირდაპირი მოვალეობაა წყალს წესიერი მიმართულება მისცეს და მით აცდინოს სოფელი აუარებელ ზარალს.

ს. რუისში აარსებენ ორკლასიან სასწავლებელს სამეურნეო განყოფილებით, რისთვისაც ბ. გაბო მამაცაშვილი სწირავს სოფლის ახლო მდებარე ორ დესიატინა მიწას. არსებული სამინისტრო სკოლა კი დარჩება განსაკუთრებით ქალებისათვის.

ქართლის ზოგიერთ დიდ-მემამულეთ განზრახვა აქვთ შეიძინონ ორთქლით მმოძრავი გუთანი. თუ ეს აზრი განახორციელეს, ბევრ სხვა სამეურნეო იარაღებსაც გამოიწერენ.

ხალხის მეგობარიია.

—

**ქვემო იმერეთი.** ხალხს შიმშილობის აჩრდილი თვალწინ უდგას. თადარიგს მოსალოდნელ უბედურებისაგან თავის დასახწევათ ქვემო იმერეთის გლეხობა ეხლავე შეუდგა; მინდვრებში ამ უჩვეულო დროს ფაცა-ფუცი და მუშაობაა. ხნავენ მიწებს და პურის დასათესათ ამზადებენ, იმედოვნებენ შესაძლოა პურის მოსავალმა მოგვასწროს და შიმშილის მსხვერპლი არ გავხდეთო! ცდა საჭიროა, მხოლოდ მოსავალი ისეთი მცირეა წელს ქვემო იმერეთში, რომ შიმშილი პურის მოსვლამდე, აუცილებლათ მოუსწრებს გლეხობას. აქა-იქ სიმინდის ფქვილს გლეხები გაურეცლათ ზელენ და აცხობენ, სისუფთავეს აღარ ჩივიან, ოღონდაც კი კუჭი გაიძღონ. ნიშნები შიმშილობის ეხლავე სჩანს.—ჯანდონსათ სავსე ახალგაზდები გუდა-ნაბად აკრული ქვემო იმერეთის სოფლებს ტოვებენ და ქალაქებისაკენ ეშურებიან იმ იმედით, რომ შესაძლოა შიმშილს თავი დავაღწიოთ, და დუქმა პური იქ ვიშოვოთო!!—ბევრს ამ თავიდანვე აღარ აქვს საზრდო. ყიდიან მარჩენალ პირუტყვს, (ძროხას, ხარს) და სიმინდს ყიდულობენ. საქონელი ჩალის ფასად იყიდება. ავადმყოფობა მუსრ ავლებს ქვემო იმერეთში გლეხ-კაცობას: ოჯახს იშვიათად ნახავთ აქეთ, რომ ორი-სამი ადამიანი ლოგინათ არ იწვეს. გაჭირვება აუწერელია! შიმშილობის ნიშნები თვალწინ გვიდგას.—საჭიროა ფართო დახმარება.

ილია ბახტაძე.

# მუშათა შორის

—

**რუსეთის (როსსიის) მუშათა არტელი.** რამოდენიმე თვის უკან, აქ პეტერბურგიდან ჩამოვიდა რევიზორი ბ-ნი სუვოროვი, რომელიც მთელის ძალღონით შეეცადა რამენაირათ დაერღვია მუშათა არტელის ხელშეკრულობა და დაკლებულ პირობებში ემუშავებია ის და ან სრულიად გაერეკა. ბ-ნმა სუვოროვმა ბევრ ხრიკებს მიმართა, მაგრამ იმ ჟამად ვერას გახდა. ხელშეკრულობა ძალაში დარჩა მომავალ 1910 წლის 1 იანვრამდე. მაგრამ სუვოროვის დაწყებულ საქმეს მთავარი (პეტერბურგის) კანტორა მაინც განაგრძობს. თუმც კანტორამ სუვოროვი დაითხოვა „ეტაკტო მოქმედებისათვის“, მაგრამ ეს ისე, რომ მოხერხებულ დროთი ესარგებლა და დიდი ხნის წადილი განეხორციელებია. ჯერ კიდევ სრული 2 თვეა კონტრაქტის ვადის გასათავებამდე, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მთელი თვეა რაც სწარმოებს სხვა და სხვა მოიჯარადრეთაგან მოლაპარაკება კანტორასთან; შემოდის აუარებელი თხოვნები, რომ მათ გადასცეს სამუშაო, რა თქმა უნდა, ხელსაყრელ პირობებში. მთავარ კანტორას განუზრახავს, რათაც უნდა დაუჯდეს „პოდრიადჩიკს“ მისცეს სამუშაო. „არტელი თვითნებობას მიჩვეულია, „სტრახი“ და სხვა ჩვენ უნდა ვიხადოთ, ეს კი ხელს არ მისცემს საზოგადოებას“-ო, გაიძახიან მისი წარმომადგენლები. დაიწყო იერიში. ყველა „პოდრიადჩიკი“ ეჯიბრება ქრთამებით და ცდილობს მოიგოს კანტორის გული და თვით ჩაიგდოს მუშები საყვლეფად. საქმე იმაშია, რომ მომავალი პოდრიადჩიკები პირდაპირ შეუძლებელ პირობებს უდგენენ კანტორას. ზოგი 9 მ., ზოგი 8 და ზოგი 7 მ. სთანხმდება 1000 ფუთის დატვირთვა-გადატვირთვას და ეს მაშინ, როცა 12 მ. ეხლა და მუშები პურის ფულს ძლივს-და აკეთებენ. უბედურ შემთხვევებიდან დაზღვევა, ამბობენ მოხოვნეები, ჩვენს ხარჯზე იყოს. ამასთან თვიურ 700 მ. დარაჯებს ჩვენ არ ავიღებთო და სხვა. ერთი სიტყვით ყველა მათგანი ცდილობს კონკურენცია გაუწიოს სხვას თავის „შეღავათიან და ხელსაყრელი პირობებით“. ყველა ისინი, ვინც ჩვეულია მუშების უსაზღვრო ყვლეფას ძველ და ნეტარ დროში, დაფაცურდენ და ვინ იცის რა საშუალებებს არ მიმართავენ. ჩვენ არ გვიკვირს მათი ასეთი დაფაცურება. მათ მშვენივრათ აქვთ გათვალისწინებული, რომ მუშები კრინტს ვერ დასძვრენ (პირიქით, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ბევრები მათი ხელის შემწყობები) და არხეინათ შეუდგებიან მათ ტყავის ძრობას ძველებურათ. იმაზე ლაპარაკი მეტია, რომ ვერც ერთი მათგანი თავის პირობას მუშაობით (თუ ჩვეულებრივ საქონლის ქურდობას არ ადგენენ) ვერ შეასრულებენ, მაგრამ მაინც მოითხოვენ სამუშაოს მათ ხელში გადასვლას. და მართლაც, დღევანდელ გართულებულ პირობებში თუ არსებული ხელფასი ძლივს-და ასულდგმულებს მუშებს, 12 მ.-8-დე და 7-დე ჩამოსვლა 15,20 წლიური თანხაზე (დასაზღვევზე) უარის თქმა, დარაჯების 700 მანეთზე და სხვა, უთუოდ წარმოუდგენელი იქნება მუშაობა (და არა ქურდობა, როგორც ეს აქვთ მიზნათ ბევრებს). მთავარ კანტორას მოუწერია ახალ პირობებზე სამუშაო გადაეცეს იჯარით ცნობილ ალექსი მელაძეს. ბ-ნ მელაძეს როსსიის სამუშაო იჯარით ქონებია 1892 წლიდან 1903 წლის მარტამდის, მხოლოდ მარტში, როცა მუშებმა შეიგნეს ცოტათ თუ ბევრათ თავის მდგომარეობა, ის იძულებული ყოფილა გადადგა აქაურობას. მთელი ათი წლის განმავლობაში მოიჯარადრე ალექსი მელაძე ტყავს აძრობდა მუშებს, სულს ხდიდა. დღესაც ბევრია აქ ძველი მუშები, რომლებიც ზიზღით იხსენიებენ იმ „დსადუშავ დროს“, როცა მელაძე, როგორც აქაური მუშები ამბობენ, თითოეულ მათგანს „ბალის ჯოხს“ ატეხდა ზურგზე. დიახ, ის ჯოჯოხეთური დრო იყო, მაგრამ ეხლა ვინ იცის როგორ დატრიალდება საქმე. კანტორას განუზრახავს მელაძის მოწვევა.

ყველაზე უფრო სამწუხაროა ისაა, რომ მუშებში ამ ბოლოს და ბოლოს თავი იჩინა კუთხურმა შუღ-ჩემობამ. „მელაძე ხონელია, ის მამაა მუშების, აბა ბიჭებო, მედგრათ დავუჭიროთ მას მხარიო“, გაიძახიან ასეთები. მთელი არტელი ორ მოწინაღმდეგე ბანაკათ გაიყო ამ ნიადაგზე, მელაძისტები, რომლებიც ცდილობენ მას გადაეცეს იჯარით სამუშაო, გურულ-მეგრელები გაამძევონ და ხონელებით შეავსონ არტელი. მეორე მხრით და ნარჩენები, რომლებიც ცდილობენ არტელის მთლიანობა დაიცონ და თუ ეს უთუოდ შეუძლებელი შეიქნა, თვით აიღონ (პაიებით) იჯარით სამუშაო და სამაგიეროთ მელაძისტები გაამძევონ. ამრიგათ, მთელი თვეა თვით არტელში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა გაჩაღებული, რომელიც ხშირათ მუშტი-კრივითაც ბოლოვდება. მელაძის „ბალის ჯოხის“ მომხრეების რიცხვი არც ისე ცოტაა, ამ ბანაკში მომწყვდეულა ყველა „ხონელები“ 42 კაცი. მოწინაღმდეგე ბანაკში დანარჩენები, ე. ი. 143 კაცი. რომელი მათგანი გაიმარჯვებს, ეს ახლო მომავალში გადაწყდება და მისი გადაწყვეტით არტელის ბედ-იღბალიც გადაწყდება. ჩვენის შეხედულებით ორივე შემთხვევაში არსებული პირობები ქრება.

ამ ბოროტებაში ნაკლები სჯობია (რადგან საბოლოოთ გადაწყვეტილია იჯარით გაცემა სამუშაოსი). „თუმც არ-ფერი სასურველია“ პაიჩიკობა მუშებისთვის, მაგრამ მელაძე და კომპანიის გამარჯვებას კიდევ ის სჯობია. არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ მუშების ერთ ჯგუფს ის უთუოდ შეუწყნარებელი მოქმედება, რომელსაც ამ ბოლოს მიყვეს ხელი. საერთო კრებებს აუსნიარ ობსტრუქციებით შლიან, რადგან ეშინიათ უმრავლესობის არ გვაჯობოსო. ბევრ მოლაპარაკეთ ქუჩური ლანძღვა-გინებით ისტუმრებენ. „მუშა თუ ხარ, პოდრიაჩიკსაც იყაბულებთო“, ეუბნებიან მათ. ზოგიერთები პირდაპირ პროვოკაციასაც მიმართავენ მოწინაღმდეგის ასალაგმათ. ერთმა მათგანმა (ბესარიონ ბარაძემ) საერთო კრებაზე იყვირა: „გიშველოთ ეხლა ენა-გრძელმა ორატორებმა, რომლებმაც დაგღუპეს შეგნება-შეკავშირებაზე ჩიჩინითო“ და სხვა. ასეთი დემორალიზაცია-დეზორგანიზაცია გამეფდა ხსენებულ მუშებში. ცოტათ თუ ბევრათ შეგნებული მუშების ვალია უთუოდ დონე იღონონ და ეცადონ არსებული პირობების შენარჩუნებას. ბარაბაძე და კომპანია მალე დარწმუნდებიან თუ რას სჩადიან, მაგრამ გვიან-და იქნება მაშინ თითზე კბენანი.

გალია.

## წერილები რედაქციის მიმართ

### I

ბ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში ადგილი დაუთმოთ შემდეგს:

«მომავალის» მე-50 ნომერში, ახალ ამბებში, სახ. სახლთან არსებულ სექციის და ახლად დაარსებულ «კრუჟოკის» წევრების შეერთებულ სხდომის შესახებ მოთავსებულ ცნობაში არის შეცდომა.

კრებას დაესწრო სექციის ათი წევრი. კენჭის ყრაში მხოლოდ იმათ მიიღეს მონაწილეობა. სექციამ დაადგინა შემდეგი: 1) სასურველია საკუთარი ორგანიზაცია სახალხო წარმოდგენების საქმის მოსაწყობათ და მის სამართავად. მომხრე იყო რვა კაცი, ორმა თავი დაიჭირა. 2) შესაძლებელია ახალი წრის გარეშემო შემოიკრიბონ ყველა სახალხო თეატრის მოღვაწენი და მით ამ თავითვე საკუთარ ფეხზე დადგეს სახალხო თეატრის საქმე.

მომხრე იყო ექვსი კაცი. ორი წინაალმდეგი, ორმა თავი დაიჭირა.

სექციის თავმჯდომარე მ. დემურია

### II

ბ. რედაქტორო! შეცდომის ასაცილებლათ გთხოვთ დაგვისტამბოთ შემდეგი: კვირას, 25 ოქტომბერს მომხდარ სახ. სახლთან არსებულ სექციის და ახლათ დაარსებულ «კრუჟოკის» წევრების შეერთებულ სხდომაზე სექციას არ მიუღია დადგენილება, ვითომ სექცია შესაძლებლათ სცნობდეს ახალი წრის გარშემო შემოკრებს და მით ამ თავითვე საკუთარ ფეხზე დადგეს სახ. თეატრის საქმე.

სექციის წევრნი: ვ. დურგლიშვილი, ვ. რაქვიაშვილი, თ. დოლიძე, გ. ჯაბაური.

## ე. ნინოშვილის ფონდი.

—

«ჯეჯილის» რედაქციამ მიიღო მღვდელ პ. კანდელაკისაგან ახალციხეში შეგროვილი 21 მ. 31 კ.

შემომწირველთა სია: ახალციხის მაზრის უფროსი თავადი ივანე გიორგის ძე ყარალაშვილი 3 მ.; ახალციხის მაზრის ექიმი ივანე გაბრიელის ძე ასათიანი 2 მ.; თითო მანეთი: ახალციხის მაზრის უფროსის თანაშემწე ივანე ივანეს ძე მელიქიშვილი, მღვდელი ბენიამენ კანდელაკი, ქეთევან იოსების ასული კანდელაკისა; პეტრე პავლეს ძე ხუნდაძე 65 კ.; ათ-ათი შაური: რაფიელ იაკობის ძე ალელიშვილი, რაფიელ ავგუსტინეს ძე ბეგიშვილი, ვასილ ს. თამარაშვილი, სტეფანე ჩილინგაროვი, გიორგი გვენცაძე, სოფიო ბესარიონის ასული ნადირაძე, გიორგი მაკარის ძე ყანჩელი, სტეფანე იოსების ძე საიანოვი, გიგო იოსების ძე ხარიტონიშვილი, ქეთევან დიმიტრის ასული ხახუტაშვილი, ვლადიმერ გ. დაფქვიაშვილი, ბლოხინი, მანასი კაპანაძე, მღვდელი მიხეილ ცაგარელი, კონსტანცი სვიმონის ასული მეფარიშვილი; ოთ-ორი აბაზი: პეტრე ივანეს ძე ეჯიკლოვი, სვიმონ შაინოვი, მღდელი ეფრემ ინასარიძე, მღვდელი ვასილ კოპტონაშვილი; ალექსანდრე ილიას ძე სულხანიშვილი 30 კ.; კოსტანტინე გვარამაძე 25 კ., მღვდელი ალექსანდრე ზედგინიძე 25 კ.; თითო აბაზი: თ. მიხეილ გიორგის ძე ერისთავი, გიორგი ვასილის ძე შჩებოტარიოვი, ავგუსტინე იაკულის ძე იგითხანოვი, მღვდელი გიორგი ჩიქოვანი, მღვდელი ნიკოლოზ კიკნაძე, დიაკონი ივანე ზირახოვი, დიაკონი ისიდორე ხმალაძე, ედვარდ შემაბერიძე, იოსებ პ. მაისურაძე; ონისიმე პონომარენკო 15 კ., მღვდელი ფილიპე მეტრეველი 15 კ.; ორ-ორი შაური: ტარასი ინასარიძე, ესტატე ინასარიძე, ივანე ჯამასპიშვილი, არჩილ ჯამასპიშვილი, დიაკონი გრიგოლ სანდოძე, მღვდელი დიმიტრი კოკოლი, მედავითნე ლევან ქურდაძე, დიაკონი სამსონ მაისურაძე, დიაკონი სერგეი მაღრაძე, დიაკონი ილარიონ მიქელაძე, დიაკონი ეგნატე ინასარიძე; სამსონ ივანეს ძე ზირაქიშვილი 6 კ.; გაიოზ ბ. კანდელაკმა ფულის გამოსაგზავნი თექვსმეტი კაპეიკი. სულ 21 მ. 47 კ. დარჩა 21 მ. 31 კ.

—

იასონ ფანიაშვილის მიერ შეგროვილი 5 მ. 75 კ. შემომწირველთა სია:

თითო მანეთი: ვასილ ნიკოლოზის ძე ლოლაძემ და ნოშრევან მერკვილაძემ; ორი აბაზი მიხეილ დარჩიაშვილმა; ექვს-ექვსი შაური: ვლადიმერ გოგობერიძემ, კოტე ლეჟავამ, თფ. საათ.-აზნ. გიმნაზიის მოწაფემ დათა ნაცვლიშვილმა; ხუთ-ხუთი შაური: იოსებ ასლანის ძე გარსევანიშვილმა და იოსებ გრიგ.-ძე ტატიშვილმა; თითო აბაზი: მიხეილ თოფურიძემ, გრიშა ფანიაშვილმა, სანდრო ლალიაშვილმა, იასონ ქურდაძემ, არშაკ პოღოსოვმა, მიხეილ ხუროშვილმა და გრიგოლ ბეგიაშვილმა; სამი შაური: ვასია და პავლემ; ორ-ორი შაური: პეტრე თოფურიძემ, თამარამ, შალვა იოსების ძე გარსევანიშვილმა და ლავრენტი იოსების ძე გარსევანიშვილმა.

—

ძველ და ახალ-სენაკში შეგროვილი დ. ოქროშიძესაგან 24 მ. 20 კ. კნ. მენ. დადიანის ასულის შემწეობით. შემომწირველთა სია:

ორ-ორი მანეთი: ექ. ივლ. ხოფერიამ და ვლადიმერ შევარდნაძემ; თითო მანეთი: ანდ. შუბლაძემ, პოლ. ლორთქიფანიძე, რაჟდ. გამსახურდია, ნიკო ჯანაშია, დ—ძე, ლავრ. ბუიღლიშვილი, გიორგი ლევ. ქავთარაძე, გრიგოლ ხუნწარია, პეტრე დგებუაძე, მღვდ. ირაკლი კალატოზიშვილი, საშა სალაყაიას ქალმა, კნ. მენიკი დადიანის ასულმა, ილ. გიორგაძე, ილია კუმსიევი, მარიამ კაჭარავას ქალმა და ნიკოლოზ თუთბერიძე; ათ-ათი შაური: მღვდ. კირ. ჯავახიამ, იერონიმე არსენიშვილმა, ალექსან. მუსერიძემ, ნინო პატურიას ასულმა, სერგო გოგიავამ და ვიქტორ კალანდარაშვილმა; ორი აბაზი: ეკატერინე ჩარავამ; თითო აბაზი: სიმონ ცანავამ, ლეონტი ლელგაშვილმა, ივლ. გაბუნიამ და ივანე ზესაშვილმა.

—

„ჯეჯილის“ რედაქციამ მიიღო «მომავლის» რედაქციიდან 19 მ. 5 კ. (შემომწირველთა სია დაბეჭდილი იყო № 40-ში), 22 მ. 56 კ. (შემომწირველთა სია დაბეჭდილია № 43 და 47 ნომ.) შედგა 92 მ. 87 კ. დღემდე იყო 1985 მ 69 კ. სულ არის 2078 მ. 56 კ.

## „მომავალის“ ფოსტა

—

**მაქსიმე ტყეშელაშვილს.** გვაცნობეთ ძლიერ საჩქაროთ თქვენი ადრესი.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. მელიქ-შახნაზარიანცი

## მ. ხ. ბ-ნო ბადურაშვილო!

რადგანაც თქვენ ცუდ ხმებს ავრცელებთ ჩემ წინაალმდეგ და ცილს მწამებთ, ამისათვის გიწვევთ სამედიატორო სასამართლოში. ჩემი მსაჯულების ვინაობას ცალკე შეგატყობინებთ. **დოროთე.**

1—1

## განცხადება

ექიმი

## პ. არდაზიანი

ბავშვების და შინაგანი ავათმყოფ.

კუთხე მელიქოვისა და ალექსანდროვის ქუჩისა ინტენდანსტვოს პირდაპირ. მე-9 უჩასტკა: დილის 9—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდის.

**Уголъ Меликовской и Александровской ул.**

(0—18)

სასტუმრო

## „ბორჯომი“

თფილისი, ვაგზლის ქ. № 17.

ახლათ შეკეთებული სუფთა ოთახები ხელმისაწდომ ფასებში: დღე და ღამით 50 კ.-დან 3 მ.-დე. თვიურათ ძლიერ დაკლებულ ფასებში.

პატივისცემით **მიხაილ ქოიავა** და **ეგნატე პერტანავა.**

(0—5)

სტამბა ამხ. „შრომა“. რუსის ქ. № 3